# სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 16 იანვარი 2008 №007 (3231) ფასი 50 თეთრი


# ექვსთა შეთანხმებამ ფიფას კენჭი დააზოგვინა

## ნოდარ ახალკაცი: ჩვენთვის ძალიან კარგი კალენდარია

### საქართველომ საკუთარის დასაცავად ირლანდიამ – ბულგარეთი დათმო



მოლაპარაკებისას კლაუს ტოპმიოლერის მთავარი ოპონენტი ბულგარეთის ნაკრების მწვრთნელი პლამენ მარკოვი იყო

6 სექტემბერი, 2008
**საქართველო — ირლანდია**

10 სექტემბერი, 2008
**იტალია — საქართველო**

11 ოქტომბერი, 2008
**საქართველო — კვიპროსი**

15 ოქტომბერი, 2008
**საქართველო — ბულგარეთი**

11 თებერვალი, 2009
**ირლანდია — საქართველო**

28 მარტი, 2009
**კვიპროსი — საქართველო**

1 აპრილი, 2009
**საქართველო — ჩერნოგორია**

5 სექტემბერი, 2009
**საქართველო — იტალია**

10 ოქტომბერი, 2009
**ჩერნოგორია — საქართველო**

14 ოქტომბერი, 2009
**ბულგარეთი — საქართველო**

## კარგი კალენდარი კარგია, მაგრამ საკალენდრო ბრძოლა აზრს კარგავს, ჩვენმა ეროვნულმა გუნდმა კარგად თუ ვერ ითამაშა



# 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. მე-8 ჯგუფი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალენდარი

**2008 წელი**

6 სექტემბერი

კვიპროსი — იტალია

საქართველო — ირლანდია

ჩერნოგორია — ბულგარეთი

10 სექტემბერი

იტალია — საქართველო

ჩერნოგორია — ირლანდია

11 ოქტომბერი

ბულგარეთი — იტალია

საქართველო — კვიპროსი

15 ოქტომბერი

იტალია — ჩერნოგორია

ირლანდია — კვიპროსი

საქართველო — ბულგარეთი

**2009 წელი**

11 თებერვალი

ირლანდია — საქართველო

28 მარტი

ჩერნოგორია — იტალია

კვიპროსი — საქართველო

ირლანდია — ბულგარეთი

1 აპრილი

იტალია — ირლანდია

ბულგარეთი — კვიპროსი

საქართველო — ჩერნოგორია

6 ივნისი

კვიპროსი — ჩერნოგორია

ბულგარეთი — ირლანდია

5 სექტემბერი

საქართველო — იტალია

კვიპროსი — ირლანდია

ბულგარეთი — ჩერნოგორია

9 სექტემბერი

იტალია — ბულგარეთი

ჩერნოგორია — კვიპროსი

10 ოქტომბერი

ირლანდია — იტალია

კვიპროსი — ბულგარეთი

ჩერნოგორია — საქართველო

14 ოქტომბერი

იტალია — კვიპროსი

ირლანდია — ჩერნოგორია

ბულგარეთი — საქართველო

### ინგლისი

II ლიგა
გადადებული მატჩები

მორეკემბი 0:3 დარლინგტონი

პიტერბრო 8:2 აკრინგტონი

ასოციაციის თასი
III ეტაპი. გადათამაშება

ბერი 2:1 ნორვიჩი

მილუოლი 2:1 უოლსოლი

ვესტ ბრომვიჩი 2:2დ.დ.(4:33) ჩარლტონი

ლივერპული 5:0 ლუთონი

რედინგი 0:1 ტოტენჰემი

როვერსი — ფულემი გადაიდო

### ესპანეთი

თასის 1/8 ფინალი
საპასუხო მატჩი

ბარსელონა 0:0 სევილია (1:1)

### შოტლანდია

ასოციაციის თასი
IV ეტაპი

ჰანტლი 1:2 დანდი

ლივინგსტონი 2:0 კოუდენბითი

სენტ ჯონსტონი 3:1 რეითი

### ჰოლანდია

თასის 1/8 ფინალი

დორდრეხტი 4:3დ.დ. აპელდორნი

ნაიმეგენი 0:2 ზვოლე

ვალვაიკი 1:1(3:5პ) ჰაარლემი

როდა 3:0 ექსელსიორი

დიურნი 0:4 ფეიენოორდი

### იტალია

თასის 1/8 ფინალი
საპასუხო მატჩი

იუვენტუსი 5:3 ემპოლი (1:2)

### თურქეთი

თასის ჯგუფური ეტაპი
B ჯგუფი. III ტური

გენჩლერი 1:0 დემირსი

D ჯგუფი. III ტური

გალათასარაი 3:0 სარიერი

### ამხანაგური მატჩები

სტაბეკი 2:2 ამერიკა

ფრაიბურგი 4:1 ოფენბახი

სენტ გალენი 0:3 აუე

არმინია 2:4 მაინცი



იტალიელთა თავკაცი რობერტო დონადონი კმაყოფილი დარჩა



სოფიური სხდომა

# საკალენდრო ფიქრები

## ოღონდ ჩვენმა ნაკრებმაც გამართულად ითამაშოს...

**აი,** კალენდარიც.

წილისყრის მერე, უშუალოდ შესარჩევი ეტაპის მატჩების დაწყებამდე, ყველაზე საინტერესო სანაკრებო ამბავი კალენდრის შედგენაა.

ოღონდ, სანამ კალენდრის ავკარგიანობაზე ვიტყოდეთ, მთავარი ვთქვათ: გინდ, საუკეთესო განრიგი გქონდეს და გინდ, უცუდესი, თუ ნაკრებმა გამართული ფეხბურთი ვერ ითამაშა. ამიტომ კალენდრის გარჩევას აზრი რომ ჰქონდეს, ჩავთვალოთ, რომ საქართველოს ეროვნული გუნდი გამართულ ფეხბურთს ითამაშებს.

და აქვე ერთი ჩვენეული მოსაზრებაც: ეს შესარჩევი ჯგუფი წინა შესარჩევ ჯგუფზე სუსტი არ გვგონია.

მოდით, ჯერ ამ მოსაზრების გამყარებას შევეცდებით, რისთვისაც წინა და ახლანდელი მეტოქეების შედარება მოვახდინოთ.

წინა ციკლში მეტოქედ გვყავდა ფარერები. ახლა ბოლო კალათიდან ჩერნოგორია გვერგო და არ გვგონია, ვინმე ფიქრობდეს, ფარერები ჩერნოგორიაზე ძლიერიაო.

შემდეგ: მაშინ გვყავდა ლიტვა, ახლა გვყავს კვიპროსი, ბალტიისპირელებზე აშკარად უფრო ტექნიკური გუნდი.

შოტლანდია და ირლანდია: აქაც ძნელად რომ ვთქვათ, ირლანდიის ნაკრები უფრო სუსტიაო.

უკრაინა და ბულგარეთი: ვის როგორ, ჩვენ კი ბულგარელები უფრო ძლიერებად მიგვაჩნია.

გვყავდა იტალია, ახლაც გვყავს იტალია.

ერთი, საფრანგეთი აღარ გვყავს მეტოქედ, მაგრამ ისიც გავიხსენოთ, რომ წინა შესარჩევი ჯგუფიდან ორი გუნდი გადიოდა ფინალურ ეტაპზე, ახლა კი მხოლოდ ერთი გადის, მეორეადგილოსანს კი პლეი ოფი ელის.

თუმც დღევანდელი მთავარი თემა კალენდრის ავ-კარგიანობაა. ცალკე საკითხია, როგორი ვარიანტი იყო ჩვენთვის ყველაზე სასურველი და როგორი ვარიანტი მივიღეთ, მაგრამ სამართლიანობისთვის აუცილებლად უნდა ვთქვათ: აბსოლუტურად წარმოუდგენელია, დანარჩენმა ხუთმა დელეგაციამ უსიტყვოდ მიიღოს შენი ვარიანტი და თავისის გატანას არ ეცადოს. ანუ რაღაც-რაღაცების დათმობა უკლებლივ ყველას უწევს. ცხადია, რაღაც დათმო ქართულმა დელეგაციამაც. რა დათმო და რა გაიტანა ჩვენმა გუნდმა, ამის თაობაზე ნოდარ ახალკაცის და კლაუს ტოპმიოლერის ინტერვიუებიდან შეიტყობთ, ქვემოთ კი დამტკიცებულ კალენდარზე ვთქვათ.

წლევანდელი შემოდგომის ჩვენეული განრიგი, ვფიქრობთ, სავსებით ნორმალურია.

იტალიასთან შემოდგომაზევე სტუმრობა ისედაც გვინდოდა და მივილეც კიდეც. გათვლა მარტივია: შესარჩევ ციკლს იტალიელები ტრადიციულად სუსტად იწყებენ ხოლმე და თუ საქართველოს ნაკრებმა, როგორც თავში ვთქვით, გამართულად ითამაშა... ყოველ შემთხვევაში, იტალიასთან ციკლის დასაწყისში უფრო მეტი შანსი უნდა გვქონდეს, ვიდრე ბოლოში. იქამდე ოთხი დღით ადრე კი ირლანდიას ვმასპინძლობთ და ჩვენი ღრმა რწმენით, ესეც კარგი ვარიანტია.

შემდეგ კვიპროსი და ბულგარეთი ჩამოვლენ და ისევ და ისევ იმ დაშვებით, რომ ჩვენები გამართულად ითამაშებენ, შეგვიძლია, 2008 წელი 7-9 ქულით დავასრულოთ.

2009 წელს კი ძალიან რთული და ნაკლებ საიმედო მატჩით ვიწყებთ: ირლანდიაში ჩავდივართ. ეს თამაში 11 თებერვალსაა დანიშნული და თუ გავიხსენებთ, თებერვალში საქართველოს ნაკრების რამდენ ფეხბურთელს აქვს სათამაშო პრაქტიკა, ჩამოსათვლელად ერთი ხელის თითებიც ზედმეტი იქნება. კახა კალაძე, ლევან კობიაშვილი, ზურაბ ხიზანიშვილი, ალექსანდრე იაშვილი — დანარჩენები კი პირდაპირ შეკრებებიდან უნდა გამოვიძახოთ...

ამის შემდეგ ორი „კარგი“ თამაში გველის — კვიპროსთან და ჩერნოგორიასთან. თანაც ჩერნოგორიელებს ჩვენამდე ოთხი დღით ადრე „სკუადრა აძურასთან“ აქვს მატჩი.

მოკლედ, გუნდი, რომელიც ჯგუფიდან გასვლაზე ფიქრობს, ამ ორი მატჩიდან ექვს ქულას უნდა მოელოდეს.

რომ შევაჯამოთ, 2009 წლის გაზაფხულზე 13-15 ქულა უნდა გვქონდეს დაგროვებული, რაც იმავე წლის შემოდგომაზე გადამწყვეტი ბრძოლების ჩატარების საშუალებას გვიტოვებს. სხვა სიტყვებით, იმ დროისთვის იმედი გადაწურული არ გვექნება (ისევ და ისევ, იმ დაშვებით, რომ საქართველოს ნაკრები ციკლს გამართულად ჩაატარებს).

შემდეგ ურთულესი თამაში გველის — იტალია გვესტუმრება და ამ მატჩში ჩვენი კოზირი მასპინძლის სტატუსია და კიდევ ის, რომ ერთხელ თბილისში იტალიასთან ფრე უკვე გაგვიხერხებია.

სხვა კოზირები კი იტალიას უნდა ეჭიროს. სავარაუდოდ, „სკუადრა აძურას“ იმ დროისთვის პირველი ადგილი გარანტირებული არ ექნება და ბოლო ტურებში თავს დადებს. ამ ბოლო ტურებში კი მათ ბულგარეთთან და ირლანდიასთან აქვთ სათამაშო (ალბათ, მთავარ კონკურენტებთან), რის გამოც ქართველებთან ქულების განიავებას წარმოუდგენლად ჩათვლიან. ხოლო იტალია თუ ირლანდიას და ბულგარეთს ქულებს დააკარგვინებს — ხომ უკეთესი.

ბოლოს კი გვრჩება ჩერნოგორია და ბულგარეთი, ამ უკანასკნელს კი სტუმრად ვხვდებით. თუკი ყველაფერი ისე წარიმართა, ჩვენ რომ გაგვიხარდება, დიდი შანსია, ბულგარეთი — საქართველო ფინალის ტოლფასი მატჩი იყოს და მისი გამარჯვებული პლეი ოფში გავიდეს. ამ მატჩის ფავორიტი კი, თუნდაც სტუმარ-მასპინძლობიდან გამომდინარე, ბულგარეთი იქნება.

საკალენდრო ზოგადი გარჩევა, აი, ასეთია, ზემოთ რამდენჯერმე ნათქვამი კი ერთხელაც გავიმეოროთ: ჩვენმა ნაკრებმა თუ ვერ ითამაშა, არჩიე კალენდარი და იყავი...

ხოლო როგორია იმის ალბათობა, რომ საქართველოს ეროვნულმა გუნდმა მთელი ციკლი გამართულად ითამაშოს, ცალკე საუბრის თემაა...

**გიორგი დარჯანია**

# 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. მე-8 ჯგუფი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველომ დათმო და მიიღო

### ნოდარ ახალკაცი: კმაყოფილი ვარ

მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის ჩვენი შესარჩევი ჯგუფის კალენდარზე სოფიაში გუშინწინ დაწყებული მოლაპარაკება გუშინ საბოლოო შეთანხმებითა და ექვსივე მეტოქის წარმომადგენელთა ხელმოწერით დამთავრდა. რაკი ფიფაში გასაგზავნ ოქმს ყველა დათანხმდა, ესე იგი, უკმაყოფილოც არავინ დარჩენილა — ამ კალენდრით ექვს გუნდს აქვს თავის პლუსები. თუმცა სხვათა ამბავი ჩვენთვის ნაკლებად საინტერესოა, ჯერ ჩვენი ნაკრები და მერე დანარჩენები.

რა ხდებოდა ეს ორი დღე სოფიაში, რა პრობლემები იყო, რომელი გუნდისთვისაა შედგენილი კალენდარი უფრო ხელსაყრელი — ამ და სხვა კითხვებით გუშინ, მოლაპარაკებების დასრულების შემდეგ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ნოდარ ახალკაცს მივმართეთ — ჩვენები მიღებული კალენდრით კმაყოფილები არიან...

— ძალიან მძიმე ორი დღე გვქონდა, საკმაოდ რთული გამოდგა კალენდარზე შეთანხმება, თუმცა გასაკვირიც არაფერია, ექვსივე ქვეყანა სათავისო ვარიანტს იცავდა და სხვათა დაყოლიებას ცდილობდა. საბოლოოდ ყველა გუნდს მოუხდა გარკვეულ დათმობებზე წასვლა და ასეთი კალენდარი მივიღეთ. ჩვენ, შემიძლია ვთქვა, რომ ამ კალენდრით ძალიან კმაყოფილები ვართ. კალენდრის რამდენიმე ვარიანტთან დაკავშირებით ჩვენ საკმაოდ პრინციპული პოზიცია გვქონდა და ბოლოს ის მივიღეთ, რაც საქართველოსთვის ერთობ მისაღები არის.

— ყველა გუნდმა რაღაც დათმოო, თქვით. რა დათმო საქართველომ?

— საქართველომ ირლანდია—ბულგარეთის მატჩის თარიღი დათმო, სამაგიეროდ კი, იმავე დღეს კვიპროსის მეტოქეობა გვერგო. ჩვენ ირლანდიას ფიფასგან დადგენილ სარეზერვო დღეს, 11 თებერვალს ვესტუმრებით. საქმე ისაა, რომ ირლანდიას სტადიონების პრობლემა აქვს და ის ხუთი თარიღი დაასახელეს, როცა შეძლებენ მასპინძლობას. ჩვენ რომ ირლანდიას და ბულგარეთს არ დავთანხმებოდით, მოლაპარაკება ჩაიშლებოდა და მერე კალენდარს ფიფა კენჭისყრით შეადგენდა. ეს კი არც ერთ მეტოქეს არ სურდა.

— საქართველო სოფიაში კალენდრის სათავისო ვარიანტით ჩავიდა. ფაქტობრივი კალენდარი სასურველთან რამდენად ახლოა?

— აი, სწორედ ირლანდიასთან 11 თებერვლის მატჩს თუ არ ჩავთვლით, ყველაფერი ისე გამოვიდა, როგორც გვსურდა. საწყის ოთხ ტურში საქართველოს სამი მატჩი შინ აქვს და ქულების დაგროვების კარგი შანსი გვეძლევა. მეორე ტურში კი იტალიას ვესტუმრებით, რაც ასევე, ჩვენთვის თავიდანვე მისაღები იყო. იტალიელებმა თავად დაიწუწუნეს, რომ სექტემბერში ყოველთვის უჭირთ და ისე ძლიერად ვერ გამოიყურებიან, როგორც შემდეგ. ეს კი ჩვენს გარკვეულ უპირატესობაზე მიანიშნებს.

— კალენდრით ყველა მეტოქე კმაყოფილი დარჩა?

— რაკი შევთანხმდით, ესე იგი, კმაყოფილები არიან.

— ბულგარეთში რას ამბობენ, ბოლო ექვსი თამაშიდან ოთხი შინ აქვთ...

— კი, მაგრამ საწყის ოთხ ტურში სამი სტუმრად უნდა ითამაშონ, ერთიც — იტალიასთან. თავიდანვე თუ დაკარგეს ქულები, ამის მერე ანაზღაურება ძალიან გაუჭირდებათ.

— არის შესაძლებელი, რომ ამ კალენდარში რამე შეიცვალოს?

— არა, აღარაფერი შეიცვლება, თარიღები და სტუმარ-მასპინძელთა ვინაობა უკვე საბოლოოდაა შეთანხმებული. კალენდარს მხოლოდ ფიფას დამოწმება სჭირდება, რაც უპრობლემოდ მოხდება. მოკლედ, ჩვენთვის სასურველი კალენდარი უკვე გვაქვს, ახლა მთავარი დარჩა — წარმატებით თამაში.

**ძოგა ინასარიძე**



## კლაუს ტოპმიოლერი: მთავარია, 2009 წლის ოქტომბრამდე მივიდეთ

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის შემდეგ, ცხადია, ჩვენი ეროვნული გუნდის მთავარ მწვრთნელ კლაუს ტოპმიოლერს გავესაუბრეთ. ის ჯერ თავის კოლეგებთან შეყოვნდა, მერე კი ჩვენს კითხვებს უპასუხა...

— ყველა გუნდს მოუხდა გარკვეულ კომპრომისზე წასვლა. ისევე, როგორც ჩვენ, მეტოქეებსაც თავიანთთვის ყველაზე სასურველი კალენდარი სურდათ. ვფიქრობ, რომ საქართველოს ნაკრებს კარგი კალენდარი აქვს, კმაყოფილები ვართ.

— ბოლო ორი მატჩი სტუმრად — ეს თქვენთვის მისაღებია?

— ჩვენ გვსურდა, რომ ბოლო მატჩი შინ ბულგარეთთან გვეთამაშა, მაგრამ არ გამოვიდა. სამაგიეროდ, საწყისი ოთხი შეხვედრიდან სამი შინ გვაქვს, მათგან ერთი სწორედ ბულგარეთთან. მაქსიმალურად უნდა ვეცადოთ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე გასვლის შანსი 2009 წლის ოქტომბრამდე შევინარჩუნოთ და თუ ასე მოხდა, ბოლო ორ მატჩს ჩვენთვის სულ სხვა ფასი ექნება და იმედია, ჩერნოგორიაშიც და ბულგარეთშიც წარმატებით ვითამაშებთ.

— 2008 წლის ოთხი მატჩიდან სამი შინ — რატომ არის ეს კარგი საქართველოსთვის?

— იმიტომ, რომ ჩვენ შინ გაცილებით უკეთ ვთამაშობთ, ვიდრე სტუმრად. ამ სამი თამაშიდან ქულათა მაქსიმუმის მოგროვებას ვეცდებით და ეს უკვე კარგ ფსიქოლოგიურ განწყობას შეგვიქმნის. ძალიან მნიშვნელოვანია შესარჩევი ეტაპის წარმატებით დაწყება, მერე საკუთარი ძალების რწმენა შეგვემატება და სტუმრადაც უკეთ ვითამაშებთ. ამიტომაც, ჩვენთვის ყველაზე სასურველი სწორედ ასეთი კალენდარი იყო.

**ძოგა ინასარიძე**

## იტალიას თავიდანვე ლიდერობა უნდა

**მუნდიალ 2010-ზე** ევროპის ზონის მე-8 შესარჩევი ჯგუფის კალენდარი შედგენილია — ამით რომელიმე ნაკრებს არც ქულები მომატებია და არც არავის დაჰკლებია, მაგრამ კალენდრის პლუს-მინუსებზე ლაპარაკი და კამათი ყველას შეუძლია...

ბულგარეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი, ნაკრების ისტორიაში უძლიერესი თაობის მეკარე **ბორისლავ მიხაილოვი** ამბობს, საქართველო კომპრომისზე წავიდა და ირლანდიას ფიფას სარეზერვო დღეს, 11 თებერვალს სტუმრად შეხვდებაო.

„კალენდრის შედგენის პროცედურა წარმატებით დასრულდა, კვიპროსთან და იტალიასთან წინასწარი შეთანხმება უკვე გვქონდა, დანარჩენებთან კი უნდა მოგველაპარაკა. თუმც მთავარი არა კალენდარია, არამედ თითოეულ შეხვედრაში გამარჯვებისთვის ბრძოლა" — ესეც მიხაილოვის სიტყვებია.

**პლამენ მარკოვი** (ბულგარეთის ნაკრების მწვრთნელი): „კალენდარი მნიშვნელოვანია, მაგრამ არა გადამწყვეტი. ჩვენ გვინდოდა, ციკლი შედარებით სუსტ მეტოქესთან მატჩით დაგვეწყო. მართალია, დასაწყისი რთული არაა, მაგრამ შემდეგ ოთხი უძნელესი თამაში გველის, მათ შორის, იტალიასთან".

**რობერტო დონადონი** (იტალიის ნაკრების მწვრთნელი): „ვერანაირ პრობლემას ვერ ვხედავ იმაში, რომ მეორე საგარეო მატჩს ბულგარეთში ვატარებთ. მართალია, ამ დროს იტალიის ჩემპიონატი დაწყებული არ იქნება, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ საკადრისად ვერ მოვემზადებით. საერთო ჯამში, განრიგით კმაყოფილი ვარ. კარგია, რომ საწყისი სამი თამაშიდან ორი სტუმრად გვექნება — ბულგარეთთან და კვიპროსთან. იმ დროს კვიპროსში სიცხე იქნება, მაგრამ ჩვენ სამხრეთელები ვართ და ეს არ გვაშინებს. არ მინდა, წინა ციკლის მსგავსად დაგვემართოს, როცა შოტლანდიას კვალში ვედექით. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ თავიდანვე გავლიდერდეთ".

**ილია ნანობაშვილი**

## კოპელის დილემა

**გუშინ** სოფიაში მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის მე-8 ევროპული ჯგუფის კალენდრის შედგენაზე რომ მუშაობდნენ, ირლანდიის საფეხბურთო ასოციაციის საბჭომ ქვეყნის ეროვნული გუნდის თავკაცად დროებითი მწვრთნელის, დონ გივენის ნაცვლად სტივ კოპელის კანდიდატურა წამოაყენა.

კოპელი ინგლისური „რედინგის" მწვრთნელია, თუმც ირლანდიის ფეხბურთის მამებს აგრძნობინა, რომ ნაკრების გაწვრთნაზე უარს არ იტყოდა. ირლანდიელები იმის გარკვევას ცდილობენ, შეძლებს სტივ კოპელი, ახლავე შეუდგეს საქმეს, თუ სეზონის დასრულებას დაელოდება.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

## ფუტსალელებმა მარცხით დაიწყეს

**აზერბაიჯანში** მყოფმა საქართველოს ფუტსალის ნაკრებმა გუშინ ყაზახეთთან ითამაშა და 1:3 წააგო.

მეტოქე შუტრინის დუბლით მალევე დაწინაურდა, მეორე ტაიმის დასაწყისში სამოხვალოვმა მესამეც გაიტანა, ქართველთაგან ერთი საპასუხო კი 30-ე წუთზე ნაკრების კაპიტანმა ავთანდილ ასათიანმა შეაგდო.

ჩვენი ნაკრები ყაზახებს ერთი წლის წინაც შეხვდნენ და მაშინ 1:4 წააგეს.

მომდევნო მატჩს ქართველი ფუტსალელები დღეს, თბილისის დროით, 21 საათზე გამართავენ ტურნირის მასპინძელ აზერბაიჯანელებთან.

და ერთი საინტერესო ცნობაც, რომელიც ფუტსალის ასოციაციის გენერალურმა მდივანმა ბექა კვიციანმა გვითხრა: სექტემბერში ირლანდიის ეროვნული ნაკრები რომ გვესტუმრება მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩისთვის, ამ ქვეყნის ფუტსალის ახალგაზრდული ნაკრებიც ჩამოჰყვება და 5-6 სექტემბერს ორ ამხანაგურ მატჩს გამართავს ახალგაზრდა ქართველ ფუტსალელებთან.

**ძოტე ძეძელია**

# ჩასემი ჩაიშალა
## კამერუნელი ბოლნისში დარჩა



**საქართველოს** ეროვნული ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო ლეგიონერი, კამერუნელი ერიკ რომეო ჩასემი ზაფხულამდე „სიონში" დარჩება. არადა, ბოლნისელებსაც და „ზესტაფონსაც" სურდათ, რომ ტრანსფერი განხორციელებულიყო, მაგრამ თვითონ ჩასემს არარეალური თანხა მოუთხოვია — ასე გვითხრა „სიონის" გენერალურმა მენეჯერმა ჯემალ ჭიპაშვილმა.

საქმე ასეა: ჩასემს ზაფხულში „სიონთან" კონტრაქტი უმთავრდება და თავისუფალი აგენტის სტატუსით წავა სხვა კლუბში. „ზესტაფონს" კი ნაღდად მოუწევს ძლიერი თავდამსხმელის შეძენა — გიორგი ნოდარის ძე ჭელიძე მოსკოვის „ლოკომოტივშია", გოგი ფიფია უკრაინულ „დნიპროში", მათ შემცვლელად შეგულებულ ჩასემთან კი გარიგება ვერ მოხერხდა.

რაც შეეხება „სიონის" სხვა ამბებს: გუნდი რატევანში ვარჯიშობს და, შესაძლოა, ხვალ „ამერს" ეთამაშოს ამხანაგურად. ასევე დაგეგმილია ტესტ-მატჩები „ზესტაფონთან", „მერანთან" და აზერბაიჯანულ „სიმურგთან". 1 თებერვალს კი ქვემოქართლელები შეკრებაზე წავლენ, თუმცა სად, ჯერ უცნობია.

ბოლნისური კლუბი თერთმეტმა ფეხბურთელმა დატოვა, მათ ნაცვლად კი ბექა ნოზაძე, ზურაბ ავალიანი (ორივე „მერანიდან") და შოთა ჯიქია („ბორჯომი") შეიმატეს. მათი ზაფხულამდე „სიონში" დარჩენა თითქმის გადაწყვეტილია.

...და კვლავ ღიაა „სიონის" მომავალი მეპატრონის საკითხი.

**ილია ნანობაშვილი**

# იგროსერვისი და თანამეგობრობა



**უკრაინულ** შეკრებაზე მყოფი რუსთავის „ოლიმპი" დღეს მორიგ ამხანაგურ მატჩს გამართავს იქაურ ქვედალიგელ „იგროსერვისთან".

ანატოლი პისკოვეცის გუნდისთვის ეს ალბათ ბოლო ტესტ-მატჩი იქნება „თანამეგობრობის თასამდე", რომელიც 19 იანვარს იწყება და საქართველოს ჩემპიონიც პირდაპირ უკრაინიდან ჩავა სანკტ პეტერბურგში.

შეგახსენებთ, რომ პისკოვეცის გუნდში ხუთი ახალწვეულია — ბექა შეყრილაძე, გელა ხუბუა, სერგეი პატულა, ანტონ კოვალეცკი და ნიკოლაი სტეჩკო.

მათი საკითხი უახლოეს დღეებში უნდა გაირკვეს.

**კახა შალამბერიძე**

# ვიტ ჯორჯია მცხეთაში გადადის
## გელაშვილი და დათუნაიშვილი უცხო გზაზე

**თბილისის** „ვიტ ჯორჯია" ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრისთვის მზადებას თბილისში აგრძელებს. ნესტორ მუმლაძე გუნდს 35-ე სკოლის ხელოვნურსაფარიან მოედანზე ავარჯიშებს. ისევ გუნდში არიან ნიკა გელაშვილი და პაატა დათუნაიშვილი, რომლებიც კარიერას, სავარაუდოდ, უცხოეთში გააგრძელებენ.

როგორც მწვრთნელმა ზურაბ ბერიძემ გვითხრა, თუ ამინდმა არ შეუშალათ ხელი, 16 იანვრიდან ვიტელები მცხეთაში გადავლენ შეკრებაზე, სადაც რამდენიმე ტესტ-მატჩიც აქვთ დაგეგმილი.

ორი ახალწვეულის, ბაჩანა ცხადაძისა და თემურ ღონღაძის გარდა გუნდში ჯერ არავინ გამოჩენილა და არც არავინ წასულა.

იანვარში „ვიტ ჯორჯია" საქართველოში იქნება, თებერვლის დასაწყისში კი ანთალიაში წავა და ეროვნული ჩემპიონატის განახლებამდე იქ მოემზადება.

**ნუკრი ლოლაძე**

# ვირტუალური ლოკომოტივი და პლუს ჩხეტიანი



**საქართველოს** ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში მოთამაშე გუნდებიდან სულ რამდენიმეს აქვს ოფიციალური ვებგვერდი. ახლახან მათ შეემატა თბილისის „ლოკომოტივიც".

www.fcloco.ge — არის როგორც ქართული, ისე ინგლისური ვერსია. ვებგვერდი ჯერ ინფორმაციით ვერ არის დახუნძლული, თუმცა იმედი გვაქვს, ეს მხოლოდ ახლა, საწყის ეტაპზე და გვერდი მალე სრულყოფილ სახეს მიიღებს.

და რადგან „ლოკომოტივზე" ვლაპარაკობთ, ერთიც ვთქვათ: ახალციხის „მესხეთის" ნახევარმცველი ზვიად ჩხეტიანი მეორე წრიდან სწორედ ამ გუნდში ითამაშებს.

**ნუკრი ლოლაძე**

# დაბრუნება ბათუმში

**პირველი** წრის დასრულების შემდეგ „ბათუმი" თითქმის კატასტროფულ მდგომარეობაშია — ბოლო ადგილზეა და პირველ ლიგაში დაქვეითება ემუქრება, თუმცა ზღვისპირელები დანებებას არ აპირებენ და სერიოზულად ემზადებიან.

რამდენიმე დღის წინ ვწერდით, რომ გუნდი რამდენიმე ფეხბურთელმა დატოვა, თუმცა ისინი ახლა ისევ „ბათუმში" არიან.

ბეგლარ თედორაძე უკრაინაში იყო გუნდის საძებნელად, მაგრამ დაბრუნდა. თბილისის „დინამოსთან" კონტრაქტი დაუმთავრდა მიხეილ კაკალაძეს და მეორე წრეში ისიც შეუშველება ავთო კუნჭულიას გუნდს. დღე-დღეზე თურქეთიდან ვიტალი დარჩიძეც ჩამოვა, რომელიც იქაურ კლუბში აპირებდა მოწყობას...

როგორც ბათუმელთა მწვრთნელმა გვითხრა, უახლოეს დღეებში ახალ ფეხბურთელებსაც შეიმატებენ.

გუშინ „ბათუმმა" თავის ფარმკლუბთან საკონტროლო მატჩიც გამართა და 4:1 დაამარცხა. გოლები ბაციკაძემ, მახარაძემ, ცანავამ და კუნჭულიამ გაიტანეს.

უმაღლესლიგელთა შემადგენლობა ასეთი იყო: *თოთლაძე, ვ. კუნჭულია, გალოვრე, თედორაძე, მაკარიანი, ბეჟანიძე, კ. მახარაძე, ცანავა, ოქრუაშვილი, ბაციკაძე, ტულუში (კაკალაძე).*

რამდენიმე დღეში ბათუმელები კიდევ გეგმავენ ტესტ-მატჩის გამართვას, ოღონდ ჯერ არ არის დაზუსტებული, ვინ ეყოლებათ მეტოქედ.

**ნუკრი ლოლაძე**

# კოსმოპოლიტური მიმოხილვა

მაინც, რა სხვანაირი ხალხი ვართ ეს ქართველები, არა? იმას კი არ ვგავართ, რა ჰქვია იმას... დანარჩენ მსოფლიოს. ჩვენი ამბავი გვაქვს, ჩვენი ჯიგარი, მეობა, სიყვარული, გაგება და კვინტესენცია. თან, სულ ყველაფერში ჩანს, რომ, რა ჰქვია იმას... დანარჩენი მსოფლიოს ნაირები არა ვართ. აი, მაგალითად, ამასწინათ ვრთავ ტელევიზორს და ვხედავ RTVI-ს წამყვანი ნიუ იორკის სტუდიიდან სერიოზული სახით აცხადებს, მორჩა და გათავდა, გლობალური დათბობა ეჭვი და თეორია აღარ არის, უკვე მეცნიერულად დამტკიცებული ამბავიაო. ამის თქმა იყო და, საქართველოში ისეთი ყინვები დაიჭირა, რომ შუქნიშნებიც კი წითელზე გააშეშა და ჩვენს მძღოლებს სრული ბედნიერების ორი კვირა დაუყენა: არღვევენ და არღვევენ მოძრაობის წესებს. მერე ამით ფეხით მოსიარულეებმაც ისარგებლეს და გადაურბიან და გადმოურბიან მოლიპულ გზებზე ცხვირწინ მანქანებს. ნამდვილი ქართული სამოთხეა.

ახლა, ეს ყველაფერი რატომ ვთქვით: იმიტომ, რომ ჩვენ, როგორც, რა ჰქვია იმას... დანარჩენი მსოფლიოსგან განსხვავებულ ხალხს, ერთი საფეხბურთო საკითხი გვაქვს მოსაგვარებელი. კერძოდ, აი, რა. გიფიქრიათ ოდესმე, როგორ უნდა იზეიმონ ქართველმა ფეხბურთელებმა გოლები? აი, ესპანეთის ჩემპიონატის ბოლო ტურში, რომელიღაც შეხვედრაში, ორივე კარში სამი თუ ოთხი გოლი გავიდა და ყველამ, ვინც ეს გოლები შეყარა, ფეხმძიმე ქალი განასახიერა. ესე იგი, ცოლები ჰყავთ ორსულად და თავიანთი წარმატება მათ მიუძღვნეს. ჰოდა, ამის შემყურეს გოლის ზეიმის სხვადასხვა ხერხი გამახსენდა: საქორწინო ბეჭდის კოცნა, კუთხურის ალამთან ძაღლივით მოშარდვა, მაისურის თავზე წამოხმობა, ახალშობილის რწევა, ძაღლებივით გამწკრივება და წინა ძაღლის უკანალთან მიტანილი ცხვირის იმიტაცია, სამბას ცეკვა, აფრიკული რიტუალური ცეკვა და სხვა, მაგრამ ეს ყველაფერი, რა ჰქვია იმას... დანარჩენი მსოფლიოსთვის არის მისაღები და მოსაწონი, ჩვენ კი რამე ჩვენი გვჭირდება. მაგრამ, რა?

ვითომ ცეკვა ქართული?

არა, ეგრე შეიძლება მოსალოცად მოსულ თანაგუნდელს ყბაში მოულოდნელად მუშტი ჰკრა.

ხორუმი?

მტკივნეულია... როგორია, ქაცვებით ბეჭებზე კაცი შეიყენო.

იქნებ, მთელი გუნდი უნდა გავმწკრივდეთ და „ჩაკრულო" ვიმღეროთ?

არა, გრძელი სიმღერაა. ისე „ნოკიას" მელოდიას წაუმღერებდა კაცი, ქართული რომ იყოს...

თამადობა?

ვერავინ გაგვიგებს. აბა, წარმოიდგინეთ, გოლის ავტორი ხელში ვითომ „განსხვავებულით" დგას დანარჩენი ათი ფეხბურთელი კი ხუთ-ხუთად ერთმანეთის პირისპირ ჯდება და თანხმობის ნიშნად თავებს აქნევს.

ისე, ფეხბურთი ორსქესიანი თამაში რომ იყოს, ის სცენა აჯობებდა, ცოლებს თავიანთი პალტოები უკვე რომ აცვიათ, ხელში ქმრების პალტოები უჭირავთ და ელოდებიან, როდის დამთავრდება ბოლო სადღეგრძელო, მაგრამ აბა, როგორ?

მოკლედ, როგორც ხედავთ, ჯერჯერობით ვერაფერი მოგვიფიქრებია. იქნებ თქვენ დაგვეხმაროთ.

ნებისმიერი იდეას სიამოვნებით განვიხილავთ.

პატივისცემით, **პაპუნა კედია.**

ჩვენი მისამართია:

**VAIDANARCHENIMSOFLIOSPATRONS@KARTVELEBI.GE**



კოსმოპოლიტური მიმოხილვა

# გერმანული თვალები

## ოქროსავით საჩუქარი: ოქროსავით ბიჭი ოქროს დაბადების დღეზე

მიუხედავად არასრულწლოვანობისა, ლევან ყენიას გერმანელები უკვე სრულყოფილ მოთამაშედ მიიჩნევენ. ნიჭიერმა ქართველმა ფეხბურთელმა გერმანელები აალაპარაკა — ბუნდესლიგის ოფიციალურმა ვებგვერდმა ყენიას საინტერესო წერილი მიუძღვნა...



ბადრი ქიტიაშვილის ფოტო

„ცხოვრებაში ყველაზე ამაღელვებელი მე-18 დაბადების დღეა. ამ დროს ყველაფერი ერთი ხელის მოსმით იცვლება — შეიძლება, ბარში სპირტიანი სასმელის მოთხოვნა, შუაღამით დისკოთეკაზე შესვლისას პრობლემები აღარ იქმნება, ბოლოს და ბოლოს, ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობაც შეგიძლია — ეს იმიტომ, რომ 18 წლის ადამიანი უკვე სრულწლოვანია...

ასეთი თავისუფლება მეორეხარისხოვან როლს ითამაშებს ახალგაზრდა ადამიანისთვის გელზენკირხენში, რომელსაც 18 ოქტომბერს 18 წელი შეუსრულდება — ამ დღეს ლევან ყენია პირველი ბუნდესლიგის კლუბის სრულუფლებიანი წევრი გახდება. მანამდე კი ყენია „შალკეს“ 19-წლამდელთა გუნდში ითამაშებს — ნიჭიერმა ახალგაზრდამ თანდათან უნდა აუღოს ალლო გერმანულ ფეხბურთს და პირველ ბუნდესლიგას. საქართველოში ყენია ახალი თაობის ყველაზე იმედისმომცემ ფეხბურთელად ითვლება და მის შეძენაზე უარს არც სხვა ევროპული კლუბები იტყოდნენ. თავისი ნიჭიერება კი ყენიამ უკვე დაამტკიცა — მართალია, ჯერ სრულწლოვანი არ არის, მაგრამ მას ზურგს საქართველოს ნაკრებში ნათამაშები 4 მატჩი უმაგრებს. შოტლანდიის, უკრაინის, ლიტვისა და იტალიის ნაკრებებთან შეხვედრებისას ყენიას არ [illegible] ვარსკვლავების წინააღმდეგ თამაში, როგორებიც არიან ანდრეა პირლო, ჯენარო გატუზო და ლუკა ტონი...

საქართველოს ნაკრების მწვრთნელი კლაუს ტოპმიოლერი ყენიას ნიჭით აღფრთოვანებულია: „ის უდიდესი ტალანტია, მშვენივრად კითხულობს თამაშს, საუცხოოდ არის განსწავლული ტექნიკურადაც და ტაქტიკურადაც“ — წერს BUNDESLIGA.DE.

ვებგვერდს „შალკეს“ მენეჯერ ანდრეას მიულერის სიტყვებიც მოჰყავს: „ყენია ძალიან ნიჭიერია და თავის ასაკთან შედარებით, კარგადაა განვითარებული. ეს ბიჭი საჩუქარია — მოძრავი, ტექნიკური, სწრაფი“.

ყენიას საფეხბურთო შესაძლებლობებით აღფრთოვანებული ყოფილა „ხუმარების“ 19-წლამდელთა გუნდის მწვრთნელი ნორბერტ ელგერტიც და თურმე ძალიან სიამოვნებს, რომ ყენია ჯერ მის გუნდში თამაშობს.

ყენია „შალკეს“ ბაზაზე ცხოვრობს და როგორც გერმანელები წერენ, თავისუფალ დროს რთული გერმანული ენის შესწავლას ანდომებს.

მიხეილ ჟორჟოლიანი

# დინამომ უკრაინით დაიწყო და თურქეთით აგრძელებს



ბადრი ქიტიაშვილის ფოტო

**ანთალიაში** მოსამზადებლად მყოფმა თბილისის „დინამომ“ გუშინ პირველი ამხანაგური მატჩი ჩაატარა. ჩვენები კიევის „არსენალს“ შეხვდნენ და 2:2 ითამაშეს.

უკრაინელები მატჩის დასაწყისშივე რიკოშეტით გატანილი გოლით დაწინაურდნენ და პირველი ტაიმი თავიანთ სასარგებლოდაც ჩაამთავრეს.

„დინამოს“ შესვენებამდე რამდენიმე საგოლე შანსი კი ჰქონია, მაგრამ არაფერი გამოსვლია.

მეორე ტაიმი დუშან უჰრინმა გუნდს რამდენიმე შეცვლით დააწყებინა და თბილისელებმაც მალევე გაიტანეს საპასუხო გოლი — შოთა გრიგალაშვილმა, ვინც „დინამოს“ „ბორჯომში“ ჰყავდა განათხოვრებული და ახლა დაიბრუნა, ლამის ცენტრის ხაზიდან გაიტანა. მან კარიდან გამოსულ მეკარე ვიტალი რევას უყურადღებობა არ აპატია და უნაკლოდ დაურტყა. ბურთი ხარიხას მოხვდა და კარში აღმოჩნდა.

მალევე „დინამოს“ სასარგებლოდ პენალტი დაინიშნა, მაგრამ გიორგი მერებაშვილის დარტყმული უზუსტო გამოდგა.

მოგვიანებით „დინამო“ მაინც დაწინაურდა: მახვილგონივრული კომბინაცია იმავ მერებაშვილმა გოლით დაამთავრა. საბოლოოდ კი „არსენალმა“ პენალტით გაათანაბრა — 2:2.

კიეველთა ქართველი გიორგი დემეტრაძე მწვრთნელმა ალექსანდრ ზავაროვმა თავის ვაჟთან ერთად საქმეში მეორე ტაიმიდან ჩართო. ჩვენების კარს სწორედ ეს დუეტი უტევდა.

„დინამომ“ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: *ოვონო, თომაშვილი, კრშკო (გ. კაშია 46), ზელიჩი, დობეში (გველესიანი 80), ოდიკაძე, ხმალაძე (ნერგაძე 46), დილმელაშვილი (ვაწაძე 70), მერებაშვილი, ხუციშვილი (გრიგალაშვილი 46), აკირემი.*

მცირე ტრავმების გამო „არსენალთან“ არ უთამაშიათ შოთა კაშიას და ილია სპასოევიჩს. მათ ორი დღე დაისვენეს, თუმცა დღეიდან უკვე მთელი დატვირთვით ივარჯიშებენ.

ხვალ ჩვენებს ორჯერადი ვარჯიში ჰქონდათ დაგეგმილი, მაგრამ მწვრთნელმა გრაფიკი შეცვალა და ორი ვარჯიშის ნაცვლად, გუნდს ორი შემადგენლობით ორ მატჩს ათამაშებს — თბილისელთა მეტოქე თურქეთის მეორელიგელი „დემირსფორი“ იქნება და ეს გუნდიც ორ შემადგენლობას გამოიყვანს. სწორედ ამ შეხვედრაში ათამაშებს უჰრინი იმ ფეხბურთელებსაც, რომლებიც „დინამო 2“-დან ახლახან მთავარ გუნდში გადაიყვანა.

„დინამო“ „დემირსფორის“ შემდეგ 19 იანვარს კიდევ ერთი ქართველის, დავით კვირკველიას ზაპოროჟიეს „მეტალურგს“ შეხვდება.

კობა ინასარიძე

# ჯაკობიამ ინფექციას მოუგო
## ექიმები მოედნის კარს ჯერ არ აღებენ

**საქართველოს** ეროვნული ნაკრების თავდამსხმელი ლაშა ჯაკობია თავის ახალ გუნდ პოლტავის „ვორსკლას“ თურქულ შეკრებაზე კი გაჰყვა, მაგრამ ჯერჯერობით ინდივიდუალური პროგრამით ვარჯიშობს.

„ვორსკლას“ ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, შეკრების დაწყებამდე ჯაკობიას მწვავე რესპირატორული ინფექცია შეხვდა და მაღალ ტემპერატურასთან ერთად, საერთო სისუსტეს გრძნობდა.

ამის გამო მას წონაშიც დაუკლია.

მართალია, ლაშა ჯაკობიამ კრიზისული პერიოდი უკვე გადალახა და სურვილიც აქვს, გუნდთან ერთად ივარჯიშოს, მაგრამ ექიმები ჯერჯერობით ამის უფლებას არ აძლევენ.

„ვორსკლას“ ექიმები იმედოვნებენ, რომ ქართველი ფეხბურთელი უახლოეს დღეებში მწყობრში იქნება.



შეგახსენებთ, რომ ჯაკობია „ვორსკლაში“ ამ ზამთრის სატრანსფერო ფანჯრისას ხარკოვის „მეტალისტიდან“ გადავიდა და ახალ კლუბთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

მიხეილ ჟორჟოლიანი

# ბურდული უგიგიაძეოდ

**ლუგანსკის** „ზარია“ თურქეთში გაემგზავრა შეკრებაზე და თან ლადო ბურდულიც იახლა.

საქართველოს ეროვნული ნაკრების ნახევარმცველს თურქეთში თითქოს ვასილ გიგიაძეც უნდა შეერთებოდა, მაგრამ „ზარიაში“ მისი გადასვლა ისე გაჯანჯლდა, რომ, შესაძლოა, საქმე საბოლოოდ ჩაიშალოს.

გიგიაძე კრივოი როგის „კრივბასს“ ეკუთვნის და პირველ წრეში ახტირსკის „ნეფტიანიკში“ იყო განათხოვრებული, თუმცა იქიდან წამოსვლას ეშურება და ჯერჯერობით მსურველი კლუბი ვერა და ვერ ნახა.

კახა შალამბერიძე

# ალადაშვილმა გაატანინა, მარცვალაძემ დაისვენა

**მორიგი** ამხანაგური მატჩი გამართა „ხარკოვმა“, სადაც კიევის „დინამოდან“ განათხოვრებული ორი ქართველი ფეხბურთელი, კახა ალადაშვილი და ოთარ მარცვალაძე თამაშობს.

ხარკოველებმა 3:2 მოუგეს ნოვოსიბირსკის „სიბირს“. ოთარ მარცვალაძეს არ უთამაშია, კახა ალადაშვილი კი ვლადიმირ ბესონოვმა მეორე ტაიმში შეუშვა და ჩვენებურმაც გაუმართლა — მესამე გოლი კახას პასით გავიდა.

მიხეილ ჟორჟოლიანი

# ოლიმპიკი აღარ მოდის

**როგორც** ადრე გამცნეთ, ორი აზერბაიჯანული კლუბი, „სიმურგი“ და „ოლიმპიკი“ მოსამზადებელი ეტაპის გავლას საქართველოში გეგმავდნენ. ორივე გუნდი საკონტროლო მატჩების ჩატარებას ქართულ კლუბებთან აპირებდა, თუმცა საქართველოს მხოლოდ „სიმურგი“ ეწვევა — „ოლიმპიკმა“ გეგმები შეცვალა და საქართველოში აღარ ჩამოვა.








# პენანტი და პენანტი
## გერის ორმოდან ქერის ორმოში

**რას** არ გაიგებ კაცი: „ლივერპულის“ ნახევარმცველი ჯერმეინ პენანტი პრემიერლიგის სხვა წარმატებული ფეხბურთელების მსგავსად მილიონერია, მამამისი გერი კი ჩვენებურად რომ ვთქვათ, ნარკობარიგა ყოფილა.

პარადოქსია?

თავად განსაჯეთ, ჩვენ მხოლოდ და მხოლოდ ამბავს გეტყვით.

მაშ ასე, მაშინ, როდესაც 6,7 მილიონ გირვანქად შეფასებული პენანტი ინგლისის ფეშენებელურ სტადიონებზე ქარივით დაქრის და გოლები გააქვს, მამა გერი ბინძურ „ბაითში“ დაბალი ხარისხის მეძავებსა და ნარკომანებს მასპინძლობს და ეს



ამბავი ქალაქ ნოტინგემის ყველაზე ცუდი უბნის შუაგულში ხდება. გასულ ხუთშაბათს მამა პენანტის ცხოვრების შესასწავლად გაზეთმა The News of the World-მა ხსენებულ „ბაითში“ თავისი ვითომცდა ნარკომანი ჟურნალისტები შეაგზავნა. ცნობისათვის, ეს „ბაითი“, მართალია, ორსართულიანი, მაგრამ მაინც გვარიანად „ბანძი“ ყოფილა.

ერთი სიტყვით, ასე იყო თუ ისე, 43 წლის მამა გერიმ შეგზავნილებს ორი „ჩეკი“ კრეკი და ერთიც ჰეროინი მიჰყიდა. ჟურნალისტებმა, ამ ყიდვა-გაყიდვის პროცესში, ბუნებრივია, მისი სიტყვებიც ჩაიწერეს და ეს ყველაფერი ინგლისურიდან ქართულად ნათარგმნევი დაახლოებით ამგვარად ჟღერს:

„თვითონ ნახავთ, უმაღლესი კაიფია. კიდევ თუ მოგინდებათ, საქმე ჩემთან დაიჭირეთ და ეს ამბავი გარანტირებული გექნებათ“.

მაგრამ, ექნებათ თუ არა მისტერ პენანტის კლიენტებს გარანტირებული ჯანმრთელობა? აი, ამ კითხვაზე პასუხს ვერავინ გასცემს, რადგან შეგზავნილმა ჟურნალისტებმა თავიანთი თვალით ნახეს, როგორ გაუკეთა მამა გერიმ მის „ხატაზე“ ასულ მეძავს ჰეროინი და შემდეგ, თვითონაც მისივე ნემსით გაიკეთა.

როგორც The News of the World-ის ჟურნალისტები წერენ, ამ ამბის პარალელურად, ზედა სართულზე სამი კაცი მავან, ნარკოტიკით გამოთაყვანებულ სხვა მეძავთან სექსით იყო დაკავებული და ეს ყველაფერი „ბარიგა“ პენანტმა ჟურნალისტებს თავისი „ბაითის“ რეკლამად მიასაღა — ხომ ხედავთ, ყველაფერი, რაც „მაგრა ასწორებს“, ჩვენთან არის, უყიდე ამ გოგოებს თითო ჩეკი და ფეხქვეშ გაგეგებიანო.

პენანტის სახლიდან გამოსული ჟურნალისტები კი დაუყოვნებლივ რედაქციაში სულაც არ გაქცეულან, ისინი უბანში „ჩასაფრდნენ“ და ფეხბურთელის მამის შესახებ შეძლებისდაგვარად ყველაფერი გაიკითხ-გამოიკითხეს.

„კრეკზე შემჯდარი“ მეძავი სახელად ლილი ენი: „გერი ამ უბანში საუკეთესო წამალს ყიდის და არც არასდროს სიიაფნდობს. თუ brown-ი (ჰეროინის შეფნოსვა) გინდა, ასპროცენტიანი გერის კლიენტი უნდა გახდე. თუ dig-ს (ჰეროინის ნემსით გაკეთება) აწვები, მაშინ, მით უმეტეს, გერისთან უნდა მიხვიდე, იმიტომ რომ, ყველაფერი თავისი აქვს (იგულისხმება ნემსები და შპრიცი). მთელი უბნის მუშა გოგოებს გერი ემსახურება“.

გერი პენანტის ვაჟი ჯერმეინი კი მომდევნო კვირაში 25 წლისა ხდება და რამდენადაც ცნობილია, მამასთან ძალიან კარგი და ახლო ურთიერთობა აქვს. პრემიერლიგის ვარსკვლავი დედის გარდაცვალების შემდეგ გერის ერთ-ერთმა მეძავთაგანმა აღზარდა, ხოლო როდესაც აღმოჩნდა, რომ ბიჭს ფეხბურთის თამაშის გამორჩეული ნიჭი აქვს და ამ ნიჭის წყალობით შეუძლია, უბანს თავიც კი დააღწიოს, მამამ ძალიან შეუწყო ხელი.

თქვენი ნებართვით, საკმაოდ დიდ მონაკვეთს ინგლისური გაზეთის სტატიიდან აღარ შემოგთავაზებთ, რადგან იქ გერი პენანტის ხსენებული დღეა დაწვრილებით აღწერილი. ვფიქრობთ, იმის ცოდნა, თუ როდის ჩაიცვა მამა პენანტმა მაისური, რა ფერის იყო ეს მაისური და როგორ ეკამათა ერთ-ერთ მეძავს, „სარბიელის“ მკითხველს არაფერს მისცემს, ლილი ენის ეს ნათქვამი კი საინტერესოა: „ჯერმეინი კარგად მახსოვს, აქ ტრიალებდა ხოლმე მამის სანახავად ახლაც მოდის ხოლმე, მაგრამ „ბაითში“ არასდროს შედის. ჯერმეინი გერის რამდენიმე ათას გირვანქას არასდროს ამადლის, თუმცა დიდძალ ფულს ხელში არ უდებს. ცხოვრებაში პრობლემები ჯერმეინსაც ჰქონია, მაგრამ აბა, მისი პრობლემები მამამისისას როგორ შეედრება.“

**პაპუნა ქედია**

# ბოროვსკი ბაიერნში დაუკრავს

**ბრემენის** „ვერდერის“ ნახევარმცველი ტიმ ბოროვსკი ზაფხულში მიუნხენის „ბაიერნში“ გადავა. 27 წლის ფეხბურთელმა „მუსიკოსებთან“ კონტრაქტის გახანგრძლივება იუარა, რომელიც ამ სეზონის ბოლოს ეწურება. „ძალიან გვეწყინა, რომ აქ დარჩენა აღარ ისურვა, რადგან მასთან მუშაობა სასიამოვნოა“ — დაიჩივლა ბრემენელთა მწვრთნელმა თომას შააფმა.

ნოიბრანდენბურგში დაბადებულმა ბოროვსკიმ კარიერა ამავე ქალაქის კლუბში დაიწყო, სადაც „ვერდერის“ თავკაცებმა შეამჩნიეს და 2001-ში წაიყვანეს. თავიდან მეორე გუნდში ათამაშებდნენ, რომელიც ჩრდილოეთ რეგიონალლიგაში გამოდიოდა. 2002 წელს დააწინაურეს და მას შემდეგ ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელია. 182 მატჩში ბოროვსკიმ 26 გოლი გაიტანა.



ბუნდესნაკრებში მისი დებიუტი 2002-ის აგვისტოში ბულგარეთთან ამხანაგურ მატჩში შედგა. ეროვნულ გუნდში 31-ჯერ ითამაშა და 2 გოლი მიითვალა.

გარდა ამისა, „ბაიერნმა“ პროფესიული კონტრაქტი გაუფორმა ნიჭიერ ნახევარმცველ ტონი კროოსს, რომელსაც 4 იანვარს 18 წელი შეუსრულდა და ბიჭი კლუბში 2012 წლამდე დარჩება. კროოსი „ბაიერნის“ სკაუტებმა როსტოკის „ჰანზაში“ იპოვეს და 2006-ში წაიყვანეს. ამ სეზონში მან ოთხჯერ ბუნდესლიგაში, სამჯერ კი უეფას თასზე ითამაშა. „ბაიერნში“ მისი დებიუტი რომ შედგა, 17 წლის, რვა თვისა და 22 დღის იყო, რითაც კლუბის ისტორიაში უმრწმესი დებიუტანტი შეიქნა.

შეგახსენებთ, რომ 1 ივლისიდან „ბაიერნის“ მწვრთნელი იურგენ კლინსმანი გახდება, რომელმაც კონტრაქტი პარასკევს გააფორმა და ოტმარ ჰიცფელდს შეცვლის.

**გაგა ხუციშვილი**

# დორასომ დაასრულა



**საფრანგეთის** ნაკრების ყოფილმა ფეხბურთელმა, 34 წლის ვიკაშ დორასომ კარიერა დაასრულა. ბოლოს იგი „ლივორნოში“ იყო, მაგრამ გასულ ოქტომბერში კონტრაქტი გაუწყვიტეს.

ინდო-მავრიტანიელი დორასო ლე ავრში დაიბადა და ამავე ქალაქის გუნდში დაიწყო თამაში. „ლე ავრში“ ხუთი სეზონი (1993-98) გაატარა და შემდეგ, როგორც ნიჭიერი, „ლიონმა“ ხუთ მილიონ დოლარად იყიდა. „ლიონში“ 2001-მდე დარჩა და სამჯერ ჩემპიონი გახდა. შემდეგ ერთი წლით „ბორდოს“ ათხოვეს და ისევ დაიბრუნეს.

2004 წელს „მილანმა“ წაიყვანა, მაგრამ მეტწილად სათადარიგოთა სკამზე იჯდა. უთამაშებლობა მოსწყინდა და 2005-ის ზაფხულში სამშობლოში, პსჟ-ში გადავიდა, სადაც საფრანგეთის თასი მოიგო, ფინალში კი გოლიც გაიტანა. 2006-ში რაიმონ დომენეკმა მსოფლიოს ჩემპიონატზე წაიყვანა, მაგრამ მოედანზე გასვლა არ აღირსა. იმავე წლის სექტემბერში პსჟ-ს მწვრთნელი გი ლაკომბი საჯაროდ გააკრიტიკა, რის გამოც გუნდიდან მოკვეთეს და პირველი მოკვეთილი ფეხბურთელი გახდა საფრანგეთში 1973 წლის შემდეგ.

შარშან ივლისში „ლივორნომ“ წაიყვანა და თავიდან მეორე გუნდში თამაში უბრძანეს, რაც დორასომ იუარა. შედეგად კლუბის პრეზიდენტმა ალდო სპინელიმ კონტრაქტი გაუუქმა და „ლივორნოდან“ გააგდეს.

საფრანგეთის ნაკრებში ვიკაშ დორასომ 18 მატჩში ერთი გოლი მიითვალა.

**გაგა ხუციშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კაცი, რომელმაც გააღო ფანჯარა და გადაიხედა


ჰარი რედნაპი

**ჰარი რედნაპმა** „ნიუკასლ იუნაიტედისთვის“ უარის თქმით „პორტსმუთში“ ხელფასი გაიორმაგა — ამიერიდან „პომპეუსის“ თავკაცი შინ ყოველწლიურად 3 მილიონ გირვანქას მიიტანს, ანუ კონტრაქტის ვადის ამოწურვამდე ოჯახის ბიუჯეტს 10,5 მილიონით შეავსებს.

საინტერესოა, ამით რედნაპმა მოიგო თუ წააგო? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად უნდა ვიცოდეთ, თუ რას სთავაზობდა „კაჭკაჭების“ მეპატრონე მაიკ ეშლი. „კაჭკაჭების“ მეპატრონე მაიკ ეშლი კლუბის თავმჯდომარის კრის მორტის პირით, პარასკეთ საღამოს, მისტერ რედნაპს „პორტსმუთიდან“ მასთან გადაბარგების სანაცვლოდ ყოველწლიურად 4 მილიონ გირვანქას სთავაზობდა, რაც იმას ნიშნავს, რომ მატერიალური თვალსაზრისით ჰარი რედნაპმა წააგო.

ინტერვიუ, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ, „პომპეუსის“ ერთგულ თავკაცს გაზეთმა The News of the World-მა ჩამოართვა, ოღონდ კითხვა-პასუხის კლასიკური ევროპული სტილისგან განსხვავებული ინგლისური მეთოდით ჩამოწერა.

„შემოთავაზების მეორე დილით გონება კვლავ უპასუხოდ დარჩენილი კითხვებით მქონდა დამძიმებული. მეტისმეტად მძიმე გადაწყვეტილების წინაშე ვიდექი. რჩევა უამრავ ადამიანს ვთხოვე, მინდოდა, სხვათაგან მომესმინა საფუძვლიანი პასუხი კითხვაზე, წავსულიყავი ნიუკასლში თუ არა, მაგრამ როდესაც ახალგაღვიძებულმა ფანჯარა გავაღე და გადავიხედე, უნებლიედ საკუთარ თავს ვკითხე: რატომ უნდა დავთმო ეს ყველაფერი? მე ხომ აქაურობა მიყვარს? და უცბად პრობლემამ მეტისმეტად მარტივი სახე მიიღო. იცით, ბავშვობიდან იმ რწმენით გავიზარდე, რომ თუ ხალხი კარგად გექცევა, ერთგულებით უნდა უპასუხო. ზუსტად ეს სიტუაცია მქონდა „პორტსმუთში“. წლების წინ, როდესაც „პორტსმუთიდან“ პირველად წავედი — მაშინ „საუთჰემპტონში“ გადავედი — გადაწყვეტილება მეტისმეტად ძნელად მივიღე, მაგრამ ერთი ხნის შემდეგ მაინც დავბრუნდი და კლუბი გაშლილი ხელით შემეგება. მას მერე შევიძინე ახალი ფეხბურთელები და ვიგრძენი, რომ ისინი მენდობიან. მაგალითად, სილვენ დისტენი ავიღოთ. მე მას აგვისტოში დავუკავშირდი და ვუთხარი, „ნიუკასლში“ არ წახვიდე, ჩემთან, „პორტსმუთში“ გადმობარგდი-მეთქი. და რა, ამ ლაპარაკიდან ექვსი თვის შემდეგ მე თვითონ უნდა გავპარულიყავი „ნიუკასლში“? ეს რომ მექნა, დისტენისთვის თვალებში როგორღა უნდა შემეხედა? რას იფიქრებდა ჩემზე?

ფანები, კლუბის თანამშრომლები, ფეხბურთელები... აქ ყველა საუცხოოდ არის ჩემდამი განწყობილი. ამ ქალაქში თავს კომფორტულად ვგრძნობ, ხოლო ეს ხშირად, ფულზე მეტს ნიშნავს. ვფიქრობ, ნიუკასლელთა წინადადებას რომ დავთანხმებულიყავი და წავსულიყავი, ღამე არ დამეძინებოდა. შესაძლოა, ვინმემ იფიქროს, რომ უამბიციო კაცი ვარ, მაგრამ მერწმუნეთ, ჩემი ამბიცია აქ არის, „პორტსმუთში“. მინდა, ეს კლუბი წინ წავწიო და ახალ სტადიონზე ძლიერი გუნდით გადავიდე. და კიდევ, დედამიწის ზურგზე არ არსებობს უფრო დიდი მოტივაცია, ვიდრე ის, რომელიც საკუთარ თავს თავად მივანიჭე: განა არ ვარ ის მწვრთნელი, რომელმაც „პორტსმუთი“ დასტოვა, შემდეგ კი დაბრუნდა და მიზნად ძლიერი გუნდის შექმნა დაისახა? თავს ასეთ დღეში მხოლოდ მანიაკი თუ ჩაიგდებდა, ასე რომ, ჩემზე ნურავინ იტყვის გამოწვევებს გაურბისო“.

მოგეხსენებათ, ჰარი რედნაპმა „პორტსმუთთან“ ახალ, ოთხწლიან ხელშეკრულებას ხელი, დიდი ხანი არ არის, რაც მოაწერა, მაგრამ ნიუკასლელთაგან მიღებული წინადადება, საყოველთაო აზრით, მართლაც გაცილებით პერსპექტიული იყო.

„დიახ, „ნიუკასლის“ თავმჯდომარეს შევხვდი და მისგან ჩინებული წინადადება მივიღე. ვინიცობაა, იმის გამო, რომ ამ წინადადებაზე უარი ვთქვი, ბევრმა ადამიანმა იფიქრა, რედნაპმა გონება დაკარგაო, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ სწორი გადაწყვეტილება მივიღე. პასუხის ძიებაში სანდრასთან, პატთან და ფრენკთან ერთად ვისადილე და მათგან მივიღე ძალიან სასარგებლო რჩევები. სწორედ მათთან საუბარში მივხვდი, რომ ჩემთვის ახლა მეტი ფულის შოვნა გადამწყვეტი არ არის. მეტი ფული ცხოვრებას ვერ შემიცვლის. არ ვარ ის კაცი, რომლისთვისაც ფული თვით ღმერთია“.

ჰარი რედნაპის თხრობა წამით აქ შევაჩეროთ და მის მიერ ჩამოთვლილ ადამიანებს დავუბრუნდეთ. სანდრა, იოლი მისახვედრია, მისტერ რედნაპის მეუღლეა, პატი ვაჟი, ხოლო ფრენკი ქვისლი გახლავთ — უფროსი ფრენკ ლამპარდი, „ჩელსის“ დღევანდელი ვარსკვლავის მამაა, თავადაც ყოფილი ფეხბურთელი.

„რა საკვირველია, ჩემი ნაცნობების უმეტესობა „ნიუკასლში“ გადასვლას მირჩევდა. მეუბნებოდნენ, რომ დიდებული შანსი მეძლეოდა, მაგრამ სანდრას შევატყე, რომ მისთვის აბარგება და საცხოვრებლად ახალ ქალაქში გადასვლა დიდი დისკომფორტი იქნებოდა, მისი სურვილი კი ჩემთვის უმნიშვნელოვანესია. შემდეგ, როდესაც ბიჭებს ვუთხარი, რომ ვრჩებოდი, სოლ კემპბელმა სიხარულისგან გადაიხარხარა. სოლმა მითხრა, დასწყევლოს ღმერთმა, ეს გადაწყვეტილება, ალბათ, რა ძნელად მიიღეო“.

მოგეხსენებათ, ჰარი რედნაპს ფეხბურთელი შვილიც ჰყავს, „ლივერპულის“ ცნობილი მოთამაშე ჯეიმი რედნაპი.

„ჯეიმიც ძალიან დამეხმარა სწორი გადაწყვეტილების მიღებაში — თქვა ჰარიმ — თავიდან, რომ დავურეკე, პირველი რეაქცია სიხარულისა ჰქონდა, რა კარგი წინადადება უთქვამთო, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ასე მითხრა: მისმინე, მამა, შენ ხომ გიყვარს პორტსმუთი, მანდ თავს ბედნიერად გრძნობ, ჰოდა, რატომ უნდა გამოსცადო ბედი? ერთი მაგის... იყავი, სადაც ხარ“!

**პაპუნა ძიძია**



# სერი-ოზულად გაბრაზდა

**„მანჩესტერ იუნაიტედის“** მწვრთნელი ალექს ფერგიუსონი BBC-ს ტელეკომენტატორის ერთმა ნათქვამმა ისე განარისხა, რომ ცნობილ კომპანიას მატჩისშემდგომ კომენტარზე უარიც კი აკადრა. მეორე მხრივ, ფერგიუსონსა და BBC-ს ოდითგანვე რთული ურთიერთობები მოსდგამთ, რასაც საფუძველი კარგა ხნის წინ ჩაეყარა. საქმე ის გახლავთ, რომ თავის დროზე ტელეკომპანიამ სერ ალექსის ვაჟის, ჯეისონის აგენტობისდროინდელ მაქინაციებს სიუჟეტი მიუძღვნა. მას მერე ფერგიუსონი BBC-ს კარგა ხანს არ ელაპარაკებოდა და აი, კიდევ...

და რამ განარისხა სერ ალექსი ამჟამად?

აი, რამ:

მოგეხსენებათ, რამდენიმე დღის წინ „მანჩესტერ იუნაიტედმა“ „ნიუკასლ იუნაიტედს“ 6:0 მოუგო. ანგარიშიდანაც ჩანს, რომ მანჩესტერელებს იმ დღეს ყველაფერი გამოუვიდათ და საგოლე კომბინაციებშიც ვისაც არ დაეზარა, ყველამ მიიღო მონაწილეობა. ჰოდა, როდესაც მეოთხე გოლი გავიდა — უეინ რუნიმ მცველ რიო ფერდინანდს შეაგდებინა — BBC-ს კომენტატორმა ჯონათან პირსმა ბრძანა, დღეს „მანჩესტერ იუნაიტედი“ დროს ატარებს და ამ საქმეში მისი ყველა ფეხბურთელი მონაწილეობსო.

რა არის აქ გასაბრაზებელი? რა და ის, რომ დეკემბრის მიწურულს „მანჩესტერ იუნაიტედმა“ საშობაო წვეულებაზე დიდი ორგია მოაწყო და ამ ორგიის შესახებ მთელმა მსოფლიომ შეიტყო. ორგიაში მართლა ყველა მონაწილეობდა, ოღონდ, უმორჩილესად გთხოვთ, კონკრეტული სცენების აღწერას მოკრძალებულ ქართველ ჟურნალისტებს ნუ მოგვთხოვთ. შეგახსენებთ მხოლოდ იმას, რომ იმ საღამოს შედეგად ახალგაზრდა მცველი ჯონი ევანსი საპატიმროშიც კი მოხვდა — მავანმა ქალმა გაუპატიურების გამო უჩივლა. ჰოდა, ტელეკომენტატორის ნათქვამი სერ ალექსმა ქარაგმად მიიღო და ქოშიც ამიტომ ჰყარა უკუღმა.

BBC-ს პრესმდივნის განცხადებით, ჯონათან პირსის ფრაზა აბსოლუტურად გულწრფელი იყო და იმას, რაც ფერგიუსონმა იფიქრა, არ გულისხმობდა.

**პაპუნა ძიძია**

# ლივერპულის ჰიკსი და იგრეკი

**ხელთათმანი** ნასროლია. ახლა დუელია საჭირო — ასე აფასებენ ინგლისელი ჟურნალისტები „ლივერპულში“ შექმნილ მდგომარეობას მას მერე, რაც მერსისაიდული კლუბის ამერიკელმა მეპატრონემ ტომ ჰიქსმა განაცხადა, რომ ორი თვის წინ, რაფა ბენიტესის ზურგსუკან, იურგენ კლინსმანთან აწარმოებდა მოლაპარაკებებს. მოკლედ, ჰიკსს ლივერპულელთა ესპანელი მწვრთნელი გასაგდებად ჰყოლია გამზადებული.


რაფაელ ბენიტესი

და რა უნდა ქნას კაცმა, როდესაც შეფისგან ასეთი დამოკიდებულების ამბავს შეიტყობს? ალბათ, კარი უნდა გაიჯახუნოს ან, თუ კარის ჯახუნი არ ეხერხება, ქუდი მაინც უნდა დაიხუროს ცოტა ბრაზიანად. მაგრამ, ვაგლახ, ბენიტესი „ლივერპულიდან“ წასვლასა და ცხელ გულზე კონტრაქტის დარღვევისთვის საკომპენსაციო 6 მილიონი გირვანქის გადახდას არ აპირებს. ვინმეს იქნებ უთავმოყვარეო კაცად ეჩვენოს, მაგრამ ესპანელს დაუჩემებია, აქედან ფეხს არ მოვიცვლი, ახალ-ახალი გეგმები მაქვს და ჰიკსსაც ახალ კონტრაქტს დავადებინებო.

სინიორ ბენიტესის აგენტმა მანუელ გარსია კუილონმა განაცხადა: „რაფას „ლივერპულში“ დარჩენა უნდა, ის აქ ბედნიერია, ლივერპულელ ფანებთან თავს საუცხოოდ გრძნობს და ქალაქსაც ჩინებულად შეეწყო“.

| 16082 | ჰერეფორდი-ტრანმერე | 1.75 | 1.85 |
| 16083 | ჰავანტი-სუონსი | 4.10 | 1.17 |
| 16570 | სიტი-ვესტ ჰემი | 1.25 | 3.40 |
| 16571 | ნიუკასლი-სტოკი | 1.17 | 4.10 |
| 16574 | ვალენსია-ბეტისი | 1.17 | 4.10 |
| 16575 | ვალიადოლიდი-ატლეტიკო | 1.80 | 1.80 |
| 16576 | ვილიარეალი-უელვა | 1.17 | 4.10 |
| 16577 | ლევანტე-ხეტაფე | 1.80 | 1.85 |
| 16578 | რასინგი-სარაგოსა | 1.50 | 2.30 |
| 16580 | ესპანიოლი-ბილბაო | 1.17 | 4.10 |
| 16588 | პსჟ-ვალენსიენი | 1.34 | 2.80 |
| 16589 | ლანსი-ნანსი | 1.70 | 1.95 |
| 16590 | ოსერი-მარსელი | 1.75 | 1.85 |
| 16631 | ჰერაკლესი-დენ ბოსხი | 1.30 | 3.00 |
| 16632 | ბრედა-აიაქსი | 3.00 | 1.30 |
| 16633 | ასტერას ტრიპოლისი-ატრომიტოსი | 1.30 | 3.00 |
| 16634 | ოლიმპიაკოსი-პანათინაიკოსი | 1.40 | 2.55 |
| 16635 | ირაკლისი-პანიონიოსი | 1.80 | 1.85 |
| 16637 | კატანია-მილანი | 2.90 | 1.32 |
| 16638 | სამპდორია-კალიარი | 1.10 | 5.50 |
| 16640 | პალერმო-უდინეზე | 1.50 | 2.30 |
| 16642 | ნაპოლი-ლაციო | 1.45 | 2.45 |
| 16643 | გრააფსხაპი-ალკმაარი | 2.90 | 1.32 |

## გოლი:წყვილი-1თუ კენტი-2 (0:0 ითვლება წყვილად)

| | | |
|---|---|---|
| 17082 ჰერეფორდი-ტრანმერე | 1.85 | 1.95 |
| 17083 ჰავანტი-სუონსი | 1.85 | 1.95 |
| 17570 სიტი-ვესტ ჰემი | 1.85 | 1.95 |
| 17571 ნიუკასლი-სტოკი | 1.85 | 1.95 |
| 17574 ვალენსია-ბეტისი | 1.85 | 1.95 |
| 17575 ვალიადოლიდი-ატლეტიკო | 1.85 | 1.95 |
| 17576 ვილიარეალი-უელვა | 1.85 | 1.95 |
| 17577 ლევანტე-ხეტაფე | 1.85 | 1.95 |
| 17578 რასინგი-სარაგოსა | 1.85 | 1.95 |
| 17579 რეალი-მალიორკა | 1.85 | 1.95 |
| 17580 ესპანიოლი-ბილბაო | 1.85 | 1.95 |
| 17588 პსჟ-ვალენსიენი | 1.85 | 1.95 |
| 17589 ლანსი-ნანსი | 1.85 | 1.95 |
| 17590 ოსერი-მარსელი | 1.85 | 1.95 |
| 17631 ჰერაკლესი-დენ ბოსხი | 1.85 | 1.95 |
| 17632 ბრედა-აიაქსი | 1.85 | 1.95 |
| 17633 ასტერას ტრიპოლისი-ატრომიტოსი | 1.85 | 1.95 |
| 17634 ოლიმპიაკოსი-პანათინაიკოსი | 1.85 | 1.95 |
| 17635 ირაკლისი-პანიონიოსი | 1.85 | 1.95 |
| 17636 ფიორენტინა-ასკოლი | 1.85 | 1.95 |
| 17637 კატანია-მილანი | 1.85 | 1.95 |
| 17638 სამპდორია-კალიარი | 1.85 | 1.95 |
| 17639 რომა-ტორინო | 1.85 | 1.95 |
| 17640 პალერმო-უდინეზე | 1.85 | 1.95 |
| 17641 ინტერი-რეჯინა | 1.85 | 1.95 |
| 17642 ნაპოლი-ლაციო | 1.85 | 1.95 |
| 17643 გრააფსხაპი-ალკმაარი | 1.85 | 1.95 |

## ქორქია-საკანდელიძის მემორიალი რუსთავი. 15-19 იანვარი



# მოულოდნელი და მოსალოდნელი

**დინამო 74:83 თსუ**
*24:26 17:17 21:24 12:16*

**დინამო:** ქლენტი (23), გულისაბედაშვილი (10), ლაფანაშვილი (14), ახალკაცი (15), ათანელაშვილი; მაისურაძე (12), სიგუა, ნანიტაშვილი

**თსუ:** ჩიტაშვილი (13), ფანჩულიძე (13), კეიდია (12), ბარბაქაძე (22), ყველაშვილი (10); ხიზანიშვილი (8), კოხრეიძე (5), ბ.ნოზაძე

**ენერჯი-ინვესტი 122:76 მაკაბი**
*33:21 30:27 26:14 33:14*

**ენერჯი:** ცეკვავა (7), ბოისა (8), ლეჟავა (27), ბაბიაშვილი (3), ტუჯანი (4); დვალიშვილი (7), სტეფანოვი (22), დიდია (12), ლიპარტელიანი (3), მაჭავარიანი 3), გოგობერიშვილი (8), ჭოჭუა (18)

**მაკაბი:** ი. ბერიშვილი (5), სორდია (6), ვაშაკიძე (14), ს. შერმადინი (16), გ. შერმადინი (22); პირველაშვილი (6), კოლუაშვილი (7), კორკოტაძე, აჰმედიანი, გაგლოშვილი

გუშინ რუსთავში ოლიმპიური ჩემპიონების ზურაბ საკანდელიძისა და მიხეილ ქორქიას მემორიალური ტურნირი დაიწყო, რომლის მოსაგებადაც სუპერლიგის ექვსივე გუნდი იბრძვის. რაკი ჯგუფებში სამ-სამი გუნდია, ტურნირის პირველ დღეს 2 მათგანი ისვენებდა. შედარებით საინტერესო უნდა ყოფილიყო ტოლძალოვანი გუნდების, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და „დინამოს" დაპირისპირება, რაც გამართლდა კიდეც, ხოლო მასპინძელი „ენერჯი-ინვესტი" რომ „მაკაბის" იოლად მოუგებდა, ეს თითქმის წინდაწინ იყო ცნობილი. სწორედ თსუ-სა და „დინამოს" მატჩში ვიხილეთ დაძაბულობა, თორემ ხარისხი არც ერთ თამაშში იყო დამაკმაყოფილებელი და არც მეორეში.

სტუდენტები ამ ტურნირამდე გვარიანად დასუსტდნენ. ნუგზარ ჭეიშვილის გუნდი რიჩარდ მათიაშვილმა და ირაკლი ჯგერენაიამ დატოვეს. თსუ-მ დავით ხიზანიშვილის სახით კი მიიღო გარკვეული კომპენსაცია, თუმცა მთლიანობაში ეს დიდი შვება ვერ უნდა იყოს. ამის გათვალისწინებით, სავარაუდო იყო, რომ ჭეიშვილის გუნდს „დინამოსთან" გაუჭირდებოდა, მაგრამ ვარაუდი არ გამართლდა, სტუდენტებმა იჩაუქეს და მემორიალი გამარჯვებით დაიწყეს.

დასაწყისში ისეთი თანაბარი თამაში გაჩურდა, ვერც ერთმა გუნდმა ხელჩასაჭიდი უპირატესობა ვერ მოიპოვა. გამოცდილი არჩილ ქლენტი თსუ-ს კალათს სწრაფი გარღვევებით ეძალებოდა, თუმც მას ჯარიმებით აჩერებდნენ და ის ერთქულიანებით ავსებდა „დინამოს" მარაგს.

სტუდენტებს კი მთავარ შემტევად დავით ბარბაქაძე ჰყავდათ, რომელმაც პირველ ტაიმში ყველაზე მეტი, 12 ქულა მიითვალა და ფარზე მებრძოლ გიოგი ყველაშვილსაც გვარიანად აშველებდა ხელს.

დიდი შესვენების შემდეგ თსუ 2 ქულას იგებდა, მაგრამ არჩილ ქლენტმა შეტევის იარაღი იცვალა, სტუდენტებს შორიდან დაუშინა და წუთნახევარში 8 ქულის მითვლის შემდეგ „დინამო" 49:43 დააწინაურა.

სტუდენტებმა დაცვა გაამაგრეს და მეტოქეს კონტრშეტევებზე ჩაუსაფრდნენ. ჭეიშვილის გუნდმა ერთ მომენტში პრესინგსაც კი მიმართა და ამან გაამართლა კიდეც. „დინამო" თსუ-ს მწყობრ დაცვაში იხლართებოდა, დაცვაში დროულად ჩასვლას კი ველარ ასწრებდა და სტუდენტთა გამთამაშებელმა, მიხეილ ჩიტაშვილმაც გაილაღა. მან მიყოლებით რამდენიმე ბურთი ჩააგდო სწრაფი გარღვევით, ანგარიში გაათანაბრა და მერე მიხეილ ფანჩულიძის დროც დადგა, რომელმაც ჯერ დაცვაში დააფარა მეტოქეს, ხოლო მომდევნო შეტევაში სამქულიანს პლუს ერთი ზუსტი საჯარიმოც მიაყოლა. ამას მოჰყვა დინამოელთა აღშფოთება, რომლებმაც საბოლოოდ ტექნიკური ჯარიმაც მიიღეს და თსუ-მ ჩაროზად ორი საჯარიმოც მიითვალა. მესამე მეოთხედიც აქ დასრულდა — სტუდენტები ბოლო შესვენებაზე 5-ქულიანი უპირატესობით გავიდნენ.

მეოთხე ათწუთეულში თსუ-მ კიდევ უფრო მოინდომა. თუკი მანამდე 2 კაცი ყოჩაღობდა, ახლა მთელმა სტუდენტობამ გამოიღო ხელი. სამიანები, ფარქვეშიდან ჩაგდებული ბურთები — ჭეიშვილის გუნდმა მეტოქეს შანსი აღარ დაუტოვა და „დინამოს" წარმატების იმედი საფინალო სირენამდე სამიოდ წუთით ადრე ჩაუკლა.

მეორე მატჩიც რომ საინტერესო იქნებოდა, ამის მცირე იმედს რუსთაველთა ლიდერის, ლაშა გამყრელიძის ტრავმა იძლეოდა, რომელმაც გუშინწინდელ ვარჯიშზე ტრავმა მიიღო. მთავარი გამთამაშებლის არყოფნაში „ენერჯი-ინვესტმა" მაინც მოახერხა სასურველი შედეგის მიღწევა. ის კი არა, შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ კიდევ სამი მოთამაშე რომ არ ჰყოლოდა, მაინც იოლად მოუგებდა „მაკაბის". ჯამლეტ ჯუჯაშვილის გუნდმა მხოლოდ საწყის 5 წუთში გაუწია წინააღმდეგობა რუსთაველებს, თუმცა მერე ერთიანად შეიბორკა და ამის მიზეზი გიორგი შერმადინის ჭარბი პერსონალურები იყო.

დღესაც 2 მატჩია: „დინამო" „ავიამშენს", ხოლო „ენერჯი-ინვესი" „მაკაბი" „ვითას" დაუპირისპირდება.

**ირაკლი პერტაია რუსთავიდან**
***ავტორის ფოტო***

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

# კობის კოდმა 48 ჩამოწერა



14 იანვარი

**სიეტლი 121:123 ლეიკერსი**
ძირითადი დრო 115:115

**სიეტლი:** კოლისონი (24 ქულა, 18 მოხსნა), დურანტი (19), შჩერბიაკი (18

**ლეიკერსი:** ბრაიანტი (48), ტურიაფი (14)

**ბოსტონი 83:88 ვაშინგტონი**

**ბოსტონი:** გარნეტი (23), პირსი (18), ალენი (16)

**ვაშინგტონი:** ბატლერი (21), ჯემისონი (20 ქულა, 10 მოხსნა), სტივენსონი (16)

**საკრამენტო 122:120 დალასი**

**საკრამენტო:** მარტინი (39), სალმონსი (22), გარსია (22)

**დალასი:** პარისი (25), ტერი (25), ნოვიცკი (21)

**შარლოტი 119:116 დენვერი**

**შარლოტი:** ვოლესი (40), ოკაფორი (19 ქულა, 13 მოხსნა), კეროლი (19)

**დენვერი:** ენტონი (35), აივერსონი (23), კემბი (20 ქულა, 29 მოხსნა, 6 პასი, 6 დაფარება)

**სან ანტონიო 89:82 ფილადელფია**

**სან ანტონიო:** ჯინობილი (20), დანკანი (18 ქულა, 16 მოხსნა, 6 პასი), პარკერი (14), ფინლი (14)

**ფილადელფია:** გრინი (21), იგუდალა (19), დალემბერტი (12 ქულა, 20 მოხსნა)

**ნიუ ჯერსი 73:99 პორტლენდი**

**ნიუ ჯერსი:** ალენი (17)

**პორტლენდი:** ოლდრიჯი (20), როი (16), ჯეკი (15)

**იუტა 98:87 მილუოკი**

**იუტა:** უილიამსი (33 ქულა, 10 პასი), ბუზერი (21 ქულა, 10 მოხსნა)

**მილუოკი:** ბოგუტი (23 ქულა, 10 მოხსნა), უილიამსი (21), რედი (16)

„სიეტლთან" 14 იანვრის შეხვედრამდე ერთი დღით ადრე „ლეიკერსში" ცუდი ამბავი გაიგეს: წინა შეხვედრაში დამტვრეული მათი ახალგაზრდა და ნიჭიერი ცენტრი ენდრიუ ბინამი 8 კვირას ვერ შეძლებს თამაშს.

რაღას იზამდნენ, ლოსანჯელესელებს ბინამის დარი მეფარე მეორე არ ჰყავთ და ისევ ძველებურად დაიწყეს თამაში, ანუ მწვრთნელმა ფილ ჯექსონმა გუნდის ნამეტანი გავარსკვლავებულ ლიდერ კობი ბრაიანტს „დაუბრუნა" ბურთი, მიდი და „რამე ქენიო".

ბრაიანტის ამბავი ხომ იცით, 201 სანტიმეტრი კია, მაგრამ გამთამაშებელზე მეტადაც უყვარს ბურთის თრევა. ახლაც მან ძველებურად წაიბურთავა და თამაშიდან არც მეტი, არც ნაკლები, 44 სროლა გააკეთა, რაც მის კარიერის რეკორდზე სამით ნაკლებია. 44-დან მიზანს 21-მა უწია. ბრაიანტს სულ 48 ქულა მოუგროვდა და ეს იყო მისი 87-ე 40-ქულიანი თამაში. კობის ერთიღა აკლია 40-ქულიანთა შორის მესამე ადგილზე მყოფ ელჯინ ბეილორამდე, მასზე წინ კი მხოლოდ უოლტ ჩემბერლენი და მაიკლ ჯორდანი დგანან.

კობიმ ამდენი ხომ მოიხვეჭა, მაგრამ „ლეიკერსს" მაინც გვარიანად გაუჭირდა აუტსაიდერ „სიეტლთან". მასპინძლები ბოლომდე ებრძოდნენ რანგით მაღლა მდგომ სტუმრებს და შეხვედრა ოვერტაიმში გადაიყვანეს, მაგრამ მათ, ისევე როგორც ძირითად 48 წუთში, დამატებით 5-წუთეულშიც ვერაფერი მოუხერხეს ბრაიანტს. ლეიკერსელმა ოვერტაიმში 6 ქულა გააკეთა, თანაც სირენამდე 4,3 წამით ადრე ჩააგდო გადამწყვეტი ორქულიანი და თავისიანებს 123:121 მოაგებინა.

„ლეიკერსისთვის" ეს იყო ზედიზედ მეშვიდე მოგება, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ამ გუნდს, თუ ბინამის ტრავმას ყურადღებას არ მივაქცევთ, მაინც წარმატების პერიოდი უდგას. „ლეიკერსს" 2004 წლის მარტის შემდეგ არ მოუგია ზედიზედ ამდენი, ანუ მას მერე, რაც კობი ბრაიანტის და შაკილ ონილის დუეტი დაიშალა და მხოლოდ კობის იმედად დარჩენილ ლოსანჯელესელებს საჩემპიონო ამბიცია მოეშალათ. ახლა კი ყოჩაღად გამოიყურებიან, „ფინიქსს" შეუზიარდნენ როგორც დივიზიონის, ასევე დასავლეთ კონფერენციის ლიდერობაში.

ბარემ ფილ ჯექსონზეც ვთქვათ: „ლეიკერსის" ღვაწლმოსილი თავკაცისთვის ეს გამარჯვება რიგით 945-ე იყო და დიდმა ფილმა ყველა დროის ყველაზე წარმატებულ მწვრთნელთა სიაში მეექვსე ადგილზე მდგარ ბილ ფიტჩს გადაასწრო.

„ლეიკერსს" ულხინს, აი, მის ისტორიულ მტერ „ბოსტონ სელტიქსს" კი წაგებების სენი შეჰყრია. რეგულარული ჩემპიონატის დაწყებამდე გვარიანად მოღონიერებულმა „კელტებმა" ძლიერად გაიწიეს ბოლო წლებში მათ მჩაგრავ გუნდებზე და პირველი 30 თამაშიდან 27 მოიგეს, მაგრამ ბოლო 6-დან 3 წააგეს და ამ ტენდენციამ მათ მწვრთნელ დოკ რივერსს შუბლი შეუჭმუხნა. ალბათ იმას თუ ფიქრობს, ზედმეტად კარგმა დასაწყისმა ხომ არ გაგვათამამაო. „ვაშინგტონთან" შინაური მარცხი „ბოსტონისთვის" ზედიზედ მეორე იყო. თანაც დედაქალაქელებს ჯილბერტ არენასი არ ჰყავთ და მაინც ბრძოლისუნარიანები არიან. ახლა მათ კერონ ბატლერმა ულიდერა, ვინც ბოლო 6 წუთში 9 ქულა გააკეთა და ეს მონაკვეთი 25:6 მოაგებინა მასპინძლებს, რომელთაც არც გარნეტი აკლდათ, არც პირსი და არც ალენი.

გასვლა წააგო დირკ ნოვიცკის „დალასმა", რომელსაც წინა სეზონისგან განსხვავებით, ახლა გეზი პლეი ოფისკენ უჭირავს და რეგულარულ ჩემპიონატში აღარ დებს მთელ ძალასა და ენერგიას. ორშაბათს მათ ძლევაში ლომის წილი დაიდო „საკრამენტოს" გამოჯანმრთელებულმა ბომბარდირმა კევინ მარტინმა, ვინც სტუმრებს 39 ქულა უყელა.

ორშაბათი დღე კიდევ ერთმა ვარსკვლავმა გაიმრავალფეროვნა ბარაქიანი მოსავლით. „შარლოტის" ვერცხლისწყალა ფორვარდმა ჯერალდ ვოლესმა 40 ქულა ჩაუგდო „დენვერს" და ამ დაძაბულ და უხვქულიან თამაშში თავისი მკაფიო სიტყვა თქვა.

**ბოტე ყორშია**

| აღმოსავლეთი | | | |
|---|---|---|---|
| **ატლანტიკა** | | | |
| ბოსტონი | 30 | 6 | 83,3 |
| ტორონტო | 20 | 17 | 54,1 |
| ნიუ ჯერსი | 18 | 19 | 48,6 |
| ფილადელფია | 14 | 24 | 36,8 |
| ნიუ იორკი | 10 | 26 | 27,8 |
| **ცენტრალური** | | | |
| დეტროიტი | 28 | 10 | 73,7 |
| კლივლენდი | 19 | 18 | 51,4 |
| ინდიანა | 17 | 22 | 43,6 |
| ჩიკაგო | 14 | 21 | 40,0 |
| მილუოკი | 15 | 23 | 39,5 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | |
| ორლანდო | 23 | 16 | 59,0 |
| ვაშინგტონი | 20 | 16 | 55,6 |
| ატლანტა | 16 | 17 | 48,5 |
| შარლოტი | 14 | 23 | 37,8 |
| მაიამი | 8 | 28 | 22,2 |

| დასავლეთი | | | |
|---|---|---|---|
| **სამხრეთ-დასავლეთი** | | | |
| სან ანტონიო | 25 | 11 | 69,4 |
| დალასი | 26 | 12 | 68,4 |
| ნიუ ორლეანი | 25 | 12 | 67,6 |
| ჰიუსტონი | 20 | 18 | 52,6 |
| მემფისი | 10 | 27 | 27,0 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | |
| პორტლენდი | 23 | 14 | 62,2 |
| დენვერი | 22 | 14 | 61,1 |
| იუტა | 22 | 17 | 56,4 |
| სიეტლი | 9 | 28 | 24,3 |
| მინესოტა | 5 | 31 | 13,9 |
| **წყნარი ოკეანე** | | | |
| ლეიკერსი | 26 | 11 | 70,3 |
| ფინიქსი | 26 | 11 | 70,3 |
| გოლდენ სტეიტი | 22 | 16 | 57,9 |
| საკრამენტო | 15 | 21 | 41,7 |
| კლიპერსი | 10 | 23 | 27,0 |



თბილისში საქართველოს ნაკრების მიერ მოგებულ „ჩელენჯ-ტროფის“ ტურნირზე ერთ-ერთი გამორჩეული მოთამაშე გერმანულ „ლიუბეკეში“ მოთამაშე სერგო დათუკაშვილი გახლდათ, ვინც ბომბარდირიც იყო, საგოლე გადაცემებსაც ბლომად არიგებდა და მითითებების მიცემასაც არ იზარებდა ბიჭებისთვის. ქართველ ქომაგს „ჩელენჯ ტროფის“ მოახლოებული ფინალის წინ, ბუნებრივია, მისი ძალიან ეიმედება. სერგო მსოფლიოს უძლიერეს გერმანულ ბუნდესლიგაში თამაშობს, გამოცდილია და გვჯერა, თავის სიტყვას ლუქსემბურგთანაც იტყვის. სერგომ ჩვენთან საუბარში თავიდან საგუნდო ამბებზე მოგვითხრო...

# დავაფასოთ და დავამარცხოთ

— ჩემპიონატი ცუდად დავიწყეთ და თავიდანვე ცხრილის ფსკერზე ალმოვჩნდით — ეს იმანაც განაპირობა, რომ წამყვანი მოთამაშეები დაგვემტვრნენ. ახლაც ოთხი ძირითადის კაცი ტრავმირებული გვყავს. თუმც ბოლო ტურებში შედეგი ცოტა გამოვასწორეთ და ორი თამაში მოვიგეთ. ბოლო ტურში სულაც მე-4 ადგილზე მყოფ გუნდს ვაჯობეთ. მთავარმა მწვრთნელმა ტაქტიკური მონახაზები შეცვალა და ამან გაამართლა.

**— როგორ ფიქრობთ, მოახერხებთ ბუნდესლიგაში დარჩენას და მეორე წრის დაწყებამდე გუნდი გაძლიერებას თუ აპირებს?**

— ამ ეტაპზე რთულია ამის თქმა. უკვე დავიმატეთ პოლონეთის ნაკრების ორი წევრი და ხელმძღვანელობა კიდევ აპირებს ახალი მოთამაშეების მოყვანას. ფინანსურად გუნდში არანაირი პრობლემა არ არის...

**— ვთქვათ ისე მოხდა, რომ ლიგიდან გავარდით, მაშინ რას იზამთ, დარჩებით „ლიუბეკში“, თუ წახვალთ?**

— კონტრაქტის მიხედვით, გავარდნის შემთხვევაში ხელშეკრულება ავტომატურად წყდება და თავისუფალი აგენტი ვხდები. მეორე ბუნდესლიგაში არ ვითამაშებ. ისე კი, კარგი იქნება, თუ დავრჩები, რადგან მომწონს ეს გუნდი. ფინანსების მხრივ, პრობლემა არ არის. უბრალოდ, კარგი იქნება, თუ შემადგენლობას გააძლიერებენ და უფრო ძლიერი გუნდი გვეყოლება. ისიც სათქმელია, რომ ეს ქალაქი ჰანოვერიდან 70 კილომეტრზე მდებარეობს, საკმაოდ პატარაა და მიუხედავად ამისა, ტრიბუნები ყოველთვის გადაჭედილია. ამ ქალაქს საფეხბურთო ბუნდესლიგაში გუნდი არ ჰყავს და ხელბურთი იქ პირველ ადგილზეა პოპულარობით.

**— ისე, შემოთავაზებები თუ გაქვთ სხვა გუნდებიდან?**

— „ვეცლარის“ ვარიანტი იყო, რომელიც ცხრილის შუაშია, თუმც სეზონის ბოლომდე ვერაფერს გადავწყვეტ. მენეჯერები მეუბნებიან, ჩამოდი და რამე შეცვალეო. ვნახოთ, დამთავრდეს ჩემპიონატი და მერე ვნახოთ.

**— „ლიუბეკის“ ლიდერი და ბომბარდირი ხართ და შვიდმეტრიან საჯარიმოებს კი არ გარტყმევინებენ, მთელ ჩემპიონატშიც მე-9 ადგილი გიკავიათ ბომბარდირთა შორის.**

— პენალტებს კარგად ვერ ვასრულებ, ამიტომ ამას სხვა აკეთებს. მთავარი გუნდის ინტერესებია. რაც შეეხება ბომბარდირობას, ვეცდები, რაც შეიძლება, მეტი ბურთი გავიტანო.

**— როგორ ფიქრობთ, სხვა ქართველ ხელბურთელთაგან ვინ შეძლებს ბუნდესლიგაში თამაშს?**

— ტიტე კალანდაძეს ტრავმა რომ არ ჰქონდეს, უეჭველად შეძლებდა იქ თამაშს, ის ძალიან გამოცდილი და ნიჭიერი ხელბურთელია. სხვათაგან რატი მსხვილიძეს და ვლადიმერ რუსიას გამოვყოფ. მათ რომ მეტი გამოცდილება შეიძინონ, მჯერა, შეძლებენ აქ თავის დამკვიდრებას.

**— ნაკრების თემასაც შევეხოთ, როგორ ფორმაში ხვდებით ფინალს და ჩვენს შანსებზე რას გვეტყვით?**

— მთავარია, რომ მეტოქე დავაფასოთ სათანადოდ, თორემ დავისჯებით. ჩვენ უნდა გავიდეთ და ჩვენი თამაში ვაჩვენოთ. გუნდში შესანიშნავი განწყობაა და გარკვეული პრობლემების მიუხედავად, მხოლოდ მოგებაზე ვფიქრობთ, სხვანაირად არც შეიძლება.

**ლექსო მაისურაძე**



# ქართველები წყვილად იგებენ



**იანვრის** ბაშოზე გუშინ მესამე საჭიდაო დღე იყო და ორივე ქართველმა, ლევან ცაგურიამ და ლევან გორგაძემ თავიანთი ბრძოლები მოიგეს. რადგან ლევან ცაგურია, იგივე კოკაი ელიტარულ დივიზიონში ჭიდაობს, თავიდან მისი ამბავი ვთქვათ.

გუშინდლამდე კოკაის ნულოვანი ბალანსი ჰქონდა, ერთი გამარჯვება და ერთი მარცხი. ქართველის მეტოქე იქამდე ორიდან ორივე ბრძოლის მომგები იაპონელი ტაკეკაძე იყო, ვინც ბალანსიდან გამომდინარე ფავორიტად ითვლებოდა, თანაც ტაკეკაძე ჩვენიანისთვის უხერხულ მეტოქედ მიიჩნევა. ბრძოლა სულ რაღაც ოცი წამი გაგრძელდა — ქართველმა გოლიათმა იაპონელი დოჰიოდან გადააგდო. ამ მოგებით ლევან ცაგურიამ ბალანსი გამოასწორა და დღეს კეკუტენხოს დაეჭიდება, ვინც მე-10 მაეგაშირაა და დასავლეთში ერთადერთი წაუგებელი სუმოისტია. აღმოსავლეთელთა ამქარში, კი სადაც ცაგურია ჭიდაობს, მიჯრით იგებენ იოკუძუნა ჰაკუხო, სეკივაკე ამინისიკი და მე-12 მაეგაშირა ფუტენო.

რანგით მეორე დივიზიონში 20 წლის ქართველმა ლევან გორგაძემ მესამედან მეორე ბრძოლა მოიგო. ცაგურიასი არ იყოს, ბალანსი მასაც დადებითი გაუხდა. ამჯერად გორგაძემ, ვინც სუმოში ტოჩინოსინის მეტსახელით ჭიდაობს, აღმოსავლეთის მე-14 მაეგაშირას ვაკაკოიეს მოუგო, რომელიც გუშინდლამდე დაუმარცხებელი იყო. შეგახსენებთ, რომ ლევან გორგაძეს პროფესიონალურ სუმოში წლეულს დებიუტი აქვს.

**ბაჩო სვანიძე**



## ვეიკ ან ზეეს სუპერტურნირი

ვეიკ ან ზეე. ჰოლანდია. 11-27 იანვარი

III ტური

| | | |
|---|---|---|
| ლევონ არონიანი (სომხეთი) | 0,5:0,5 | პეტერ ლეკო (უნგრეთი) |
| თეიმურ რაჯაბოვი (აზერბაიჯანი) | 0,5:0,5 | ლუკ ვან ველი (ჰოლანდია) |
| მაიკლ ადამსი (ინგლისი) | 0,5:0,5 | მაგნუს კარლსენი (ნორვეგია) |
| იუდიტ პოლგარი (უნგრეთი) | 0,5:0,5 | ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) |
| ვასილ ივანჩუკი (უკრაინა) | 0,5:0,5 | ბორის გელფანდი (ისრაელი) |
| შაჰრიარ მამედიაროვი (აზერბაიჯანი) | 0,5:0,5 | ვლადიმირ კრამნიკი (რუსეთი) |
| პაველ ელიანოვი (უკრაინა) | 0,5:0,5 | ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) |

# მშვიდი შვიდი



**მესამე** ტურმა მშვიდობიანად ჩაიარა, შვიდივე შეხვედრა ყაიმით დასრულდა და ყველამ თავისი ადგილი შეინარჩუნა.

სუპერტურნირის ერთ-ერთმა ლიდერმა ლევონ არონიანმა პეტერ ლეკოსთან დიდი ორთაბრძოლა გამართა, 28-ე სვლაზე დაუზავდა და მაგნუს კარლსენთან ერთად პირველ ადგილზე დარჩა.

„მძიმე და საინტერესო მატჩი გამოვიდა, გახსნილი პარტია ვითამაშეთ და მოგება ორივეს შეგვეძლო“ — განაცხადა უნგრელმა დიდოსტატმა.

38-ე სვლაზე დაასრულა შეხვედრა კარლსენმა. პატარა ვიკინგი მაიკლ ადამსთან მცირე უპირატესობას კი ფლობდა, თუმც აღარ გარისკა და ალბიონელს ყაიმზე მოურიგდა.

ყველაზე ბოლოს კი თეიმურ რაჯაბოვისა და ლუკ ვან ველის ჯახი მორჩა. თამაში ვან ველის თამადობით წარიმართა და რომ არა პატარა შეცდომა, მოიგებდა კიდეც. მათ ყველაზე ბევრი, 85 სვლა გააკეთეს.

მატჩის შემდეგ მასპინძელთა ერთადერთი იმედი ცუდ ხასიათზე იყო, ეს რა მოსაგები თამაში დავთმეო: „ასეთ პარტიას თუ ვერ მოიგებ, ესე იგი სერიოზული პრობლემები გაქვს“ — დასძინა მან.

**ლაშა გეგეჭკორი**

### სატურნირო ვითარება

| | | |
|---|---|---|
| 1. | მაგნუს კარლსენი | 2,5 |
| 2. | ლევონ არონიანი | 2,5 |
| 3. | თეიმურ რაჯაბოვი | 2 |
| 4. | ვლადიმირ კრამნიკი | 1,5 |
| 5. | იუდიტ პოლგარი | 1,5 |
| 6. | ლუკ ვან ველი | 1,5 |
| 7. | ვასილ ივანჩუკი | 1,5 |
| 8. | მაიკლ ადამსი | 1,5 |
| 9. | პეტერ ლეკო | 1,5 |
| 10. | ვესელინ ტოპალოვი | 1 |
| 11. | პაველ ელიანოვი | 1 |
| 12. | ბორის გელფანდი | 1 |
| 13. | ვიშვანათან ანანდი | 1 |
| 14. | შაჰრიარ მამედიაროვი | 1 |



# გაბორიკის კვირა

**მარიან გაბორიკს** ბოლო ერთ თვეში უკვე მეორედ ასახელებენ კვირის პირველ ვარსკვლავად. დეკემბრის მიწურულს „მინესოტას“ სლოვაკმა სნაიპერმა ეს პატივი ძირითადად „ნიუ იორკ რეინჯერსის“ კარში გატანილი ხუთი შაიბის გამო დაიმსახურა. მართალია, გასულ შვიდდღეულში გაბორიკი ასეთი გმირობებით ველარ გამოირჩა, მაგრამ სამაგიეროდ 4 ჩატარებულ შეხვედრაში 8 ქულა (4+4) მოაგროვა და თავის „მინესოტას“ სამი მატჩი მოაგებინა. გაბორიკმა განსაკუთრებით „დეტროიტთან“ გაიგიჟა თავი, როცა შაიბა შეაგდო და ორჯერ საგოლედ უპასა პარტნიორებს, შემდეგ კი გამარჯვების ბულიტიც გაიტანა.

სლოვაკის სეზონურმა მონაგარმა კი 47 ქულას (25+22) უწია და ახლა ბომბარდირთა დავაში მე-18 ადგილზეა.

მეორე ვარსკვლავობა „ედმონტონის“ კარის დარაჯ მეტიუ გარონს ერგო. მისი თაოსნობით გასულ შვიდდღეულში „მენავთობეებმა“ სამივე მატჩში იმარჯვეს, რომლებშიც ის საშულოდ 1,01 შაიბას უშვებდა და მისი კარისკენ დარტყმულის 96,8 პროცენტს იგერიებდა.



კვირის მოთამაშეთა სამეულს „ფილადელფიელი“ სკოტ ჰარტნელი ასრულებს. მან გასულ კვირაში 8 ქულა (5+3) დააგროვა და ამით სეზონის მონაგარი თითქმის გაიორმაგა. აქამდე წინა 40 შეხვედრაში მხოლოდ 14 ქულა დაეგროვებინა.

**ქახა ლომაშვილი**

## რეგულარული ჩემპიონატი

14 იანვარი

**პიტსბურგი 4:1 რეინჯერსი**

*3:0 0:0 1:1*

1:0 მალკინი (4), 2:0 მარკინი (7), 3:0 გონჩარი (17), 3:1 იაგრი (50), 4:1 მალკინი (60)




# ფერარი და მაკლარენი: გაგრძელება იქნება

**მსოფლიოს** ჩემპიონი, „ფერარის“ ფინელი მრბოლი კიმი რაიკონენი და მისი ბრაზილიელი თანაგუნდელი ფელიპე მასა დარწმუნებულნი არიან, რომ მათი უმთავრესი კონკურენტი ახალ სეზონშიც „მაკლარენი“ იქნება, მიუხედავად იმისა, რომ რონ დენისის გუნდიდან მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, ესპანელი ფერნანდო ალონსო წავიდა.

„წყალი არ გაუვა, რომ შარშანდელის მსგავსად, „მაკლარენი“ წლეულსაც უაღრესად ძლიერი იქნება. ყველაფერი, ალბათ, საწყის ორ ეტაპზევე ნათლად გამოჩნდება — განაცხადა რაიკონენმა და დაამატა — რაც შეეხება ალონსოს, ბევრი რამ იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ რამდენად კარგ ბოლიდს მოუმზადებს მას „რენო“, თორემ ჩქარი რბოლა მას არ ესწავლება“.

შეგახსენებთ, რომ „მაკლარენში“ ალონსოს ადგილი კიმის თანამემამულემ, „რენოდან“ წასულმა ჰეიკი კოვალაინენმა დაიკავა და მსოფლიოს ჩემპიონი დარწმუნებულია, რომ ის ახალ გუნდში თავს არ შეირცხვენს.

რაიკონენის თანაგუნდელს, ბრაზილიელ ფელიპე მასას ძალიან აინტერესებს, თუ როგორი იქნება ახალ სეზონში ჰემილტონი, ვინც შარშან ძალიან დიდხანს ლიდერობდა და ჩემპიონობას რაღაც საოცარი უიღბლობის გამო ვერ შესწვდა. „თავის პირველ საპირველფორმულო სეზონში ის უაღრესად სწრაფი იყო. ვერ გამიგია, თუ რა მოუვიდა სეზონის დასკვნით ორ რბოლაში, როდესაც ტიტული კიმის დაუთმო. საშინელი და უცნაურია, როდესაც სეზონს ასეთ მაღალ დონეზე ჩაატარებ და ასე დაასრულებ. აქედან გამომდინარე, უაღრესად საინტერესო იქნება წლეულს მისი რბოლის ნახვა“ — განაცხადა მასამ.

აღსანიშნავია, რომ რაიკონენი და მასა ყველაზე სწრაფები იყვნენ ესპანურ ხერესში მიმდინარე ტესტების პირველ დღეს. „ფერარელთა“ ახალმა F2008-მ ახლოს არავინ გაიკარა. მესამე შედეგი „მაკლარენის“ ტესტ-პილოტმა პედრო დე ლა როსამ აჩვენა, მეოთხე „ტორო როსოს“ სებასტიან ფეტელი იყო, ხოლო მეხუთე — კოვალაინენი.

**ბაჩა ლომაძე**




# ბევრად მაღლა ვიქნებით!

**„ფერარი“**, „მაკლარენი“, „ტოიოტა“ და აჰა, 2008 წლის საპირველფორმულო სეზონისთვის ახალი ბოლიდი „BMW-ზაუბერმაც“ წარმოადგინა. F1.08-ს პრეზენტაცია მიუნხენში მოხდა და ახალმა მანქანამ გუნდის საქარხნო ავტოდრომზე რამდენიმე წრე დაარტყა.

„ახალი ავტომობილის შექმნაზე უზარმაზარი ძალისხმევა დავხარჯეთ, რომლის დროსაც იმ ცოდნასა და გამოცდილებას ვეყრდნობოდით, ჩვენს სპეციალისტებს წინა ორი წლის მანძილზე რომ დაუგროვდათ. F1.08 ჩვენი გუნდისთვის წინგადადგმული დიდი ნაბიჯია — განაცხადა გერმანული საჯინიბოს ტექნიკურმა დირექტორმა მარიო ტაისენმა და დაამატა, რომ წლეულს მისი გუნდი კონსტრუქტორთა თასის მოსაგებად იბრძოლებს — გუნდური გამარჯვება 2008 წლისთვის ჩვენი უმთავრესი მიზანია. ბუნებრივია, ველით პირველი დიდი პრიზის მოგებას და იმედია, არაერთ გამარჯვებას მოვიპოვებთ. ასეთ ოპტიმისტურ განწყობას რეალური საფუძველი გააჩნია. წინა ორ სეზონში კოლოსალური პროგრესი განვიცადეთ და არაფერი გვიშლის ხელს, აღმასვლა გავაგრძელოთ. გამარჯვებისთვის ბრძოლა ურთულესი იქნება. სხვა თუ არაფერი, კონკურენტებად ისეთი გიგანტები გვყავს, „ფერარი“ და „მაკლარენი“ რომ არიან, მაგრამ შეუძლებელი არაფერია“.

შარშანდელ სეზონში „BMW-ზაუბერმა“, რომლის პილოტებიც გერმანელი ნიკ ჰაიდფელდი და პოლონელი რობერტ კუბიცა იყვნენ, „მაკლარენის“ დისკვალიფიკაციის შემდეგ გუნდურ ჩათვლაში მეორე ადგილი დაიკავა. გერმანული საჯინიბოს ბოლიდებს წლეულსაც ჰაიდფელდი და კუბიცა წაიყვანენ და თავიანთი შეფის მსგავსად, ოპტიმიზმის ნაკლებობას არც ისინი უჩივიან.

„ახალი ბოლიდით ძალიან კმაყოფილი ვარ. გუნდის თანამშრომლები მუდმივად პროგრესისთვის ილვწიან და ახლანდელი მანქანა მართლაც ბრწყინვალეა. პირადად მე დარწმუნებულ ვარ, რომ წლეულს გამარჯვებებს მოვიპოვებ. თეორიულად, ჩვენ მაქსიმალურად უნდა შევამციროთ ჩამორჩენა „ფერარისა“ და „მაკლარენთან“ და ამიტომაც ერთი მიზანი უნდა გვქონდეს — ყველა რბოლაში გამარჯვებისთვის ვიბრძოლოთ“ — განაცხადა ჰაიდფელდმა.

თანაგუნდელზე არანაკლებ იმედიანადაა განწყობილი კუბიცაც. „იმედი მაქვს, წინა წლებთან შედარებით გაცილებით წინ წავალთ. ჩვენი გუნდის თანამშრომლებმა უზარმაზარი სამუშაო გასწიეს და ამიტომაც საჭიროა დავამტკიცოთ, რომ „BMW-ზაუბერს“ გამარჯვებების მოპოვება შეუძლია“ — ბრძანა პოლონელმა.

ჯერჯერობით ცნობილი არ არის, თუ ვინ იქნება გერმანული გუნდის ტესტ-პილოტი. ამ ეტაპზე ყველაზე რეალურ კანდიდატად ფორმულა 3-ის ესტონელი ჩემპიონი მარკო ასმერი მოიაზრება, თუმც ტაისენი არ ჩქარობს. „ასმერმა უკვე მოსინჯა ძალები ტესტ-პილოტის როლში. მოგვიანებით მას კიდევ ერთი შანსი მიეცემა, თუმცა არა მგონია, რომ იანვრის ბოლომდე ამ საკითხს ნათელი მოეფინოს — განაცხადა მიუნხენელთა თავკაცმა და იქვე კმაყოფილება გამოთქვა ფორმულა 1-ის გუნდების ბიუჯეტების შესაძლო შემცირების გამო — ეს სასურველი ნაბიჯი იქნება. ჩვენ ყოველთვის მხარს დავუჭერთ ბიუჯეტის შემცირების იდეას, რომელიც უაღრესად მომხიბვლელი მეჩვენება. ყოველ შემთხვევაში, ამაზე დაფიქრება ნამდვილად ღირს“.

**ბაჩა ლომაძე**



# როცა ცოტა სჯობს ბევრს

## დაკარმა სამხრეთ ამერიკისკენ გაიხედა

**არ არის** გამორიცხული, რომ ლეგენდარულმა რალი-რეიდმა „დაკარმა“ სამომავლოდ მისამართი შეიცვალოს და აფრიკიდან სამხრეთ ამერიკაში გადაინაცვლოს.

შეგახსენებთ, რომ საიუბილეო, რიგით 30-ე „დაკარი“ წლეულს ვერ ჩატარდა, რადგანაც დეკემბრის ბოლოს მავრიტანიაში, სადაც უნდა გაევლო რბოლის რვა ეტაპს, „ალ ქაიდას“ ჩრდილოაფრიკული ორგანიზაციის წევრებმა ოთხი ფრანგი ტურისტი მოკლეს და მავრიტანიის ხელმძღვანელებმა რალი-რეიდის ორგანიზატორებს უსაფრთხოების გარანტია ვერ მისცეს. შედეგად, პორტუგალიის დედაქალაქ ლისაბონში სასტარტოდ გამზადებული ავტო-მოტოები და მათი პატრონები სახლებისკენ გაეშურნენ და ლეგენდარული რბოლის ისტორიის ჯაჭვი ასე მოულოდნელად გაწყდა.

მართალია, რალი-რეიდის ინიციატორი ქვეყნის, საფრანგეთის მთავრობა სპორტის მინისტრის ბერნარ ლაპორტის პირით აცხადებს, რომ ყველა ღონეს იხმარს, რათა სამომავლოდ „დაკარი“ აუცილებლად ჩატარდეს და თანაც ისეთივე სახით, და იქ, როგორ და სადაც მთელი სამი ათეული წლის მანძილზე ტარდებოდა, მაგრამ შიშსაც დიდი თვალები აქვს და როგორც ჩანს, არის იმის დიდი ალბათობა, რომ სამომავლოდ ამ უპოპულარულესმა შეჯიბრმა მისამართი შეიცვალოს.

კერძოდ, სერიოზული ლაპარაკი მიდის რალი-რეიდის სამხრეთ ამერიკაში, კერძოდ კი არგენტინასა და ჩილეში გადატანაზე. არგენტინის დედაქალაქ ბუენოს აირესიდან ჩილეს მთავარქალაქ სანტიაგომდე, რალი-რეიდის მონაწილეებს სამთო ეტაპებიც ექნებათ და რაც უმთავრესია, არგენტინასა და ჩილეში უდაბნოებიც არის და ქვიშიანი ეტაპებიც გაიმართება.

რა თქმა უნდა, იმდენი ქვიშა, რამდენიც საჰარის უდაბნოშია, ლათინურ ამერიკაში არ მოიძებნება, მაგრამ მეტ ქვიშას და ტერორისტების შიშს, ნაკლებად ქვიშიანი უსაფრთხო გზები სჯობს.

როგორც ჩანს, ყველაფერს ნათელი უახლოეს მომავალში, უკვე თებერვალში მოეფინება, როდესაც „დაკარის“ ორგანიზატორი ფირმის — A.S.O-ს სპეციალური თათბირი შედგება პარიზში.

ყოველ შემთხვევაში, თუ რალი-რეიდი აფრიკიდან სამხრეთ ამერიკაში გადაინაცვლებს, ის სახელსაც შეიცვლის, რადგანაც დაკარი აფრიკული ქვეყნის, სენეგალის დედაქალაქია და არგენტინასა და ჩილეში, არც ვარდისფერი ტბა არის სადმე.

**ბაჩა ლომაძე**

ავსტრალიის ღია პირველობა. მელბურნი. 14-27 იანვარი. საპრიზო 20 640 000 $



ანა ივანოვიჩი

# მეორე დღის მთავარი ამბავი: ხმაური ტრიბუნაზე

ავსტრალიის ღია პირველობის მეორე სათამაშო დღე პირველივით დაძაბული ვერ გამოდგა. გუშინ თანაბარი მატჩებიც ცოტა იყო და არც რომელიმე მათგანი გამოირჩა განსაკუთრებული დაძაბულობითა თუ სილამაზით. ამის მიუხედავად, მოვლენებით მაინც დახუნძლული იყო. უპირველესად მაინც ფავორიტთა ძალიან დამაჯერებელი თამაშია გამოსაყოფი, რომელთა უმეტესობამაც დაგვანახვა, რომ მშვენიერ ფორმაში იმყოფებიან. იყო მოულოდნელობებიც, თუმც განსაკუთრებით ხმაურიანი არაფერი, რის გამოც თავიდან ბობოლათა ჩოგნაობის მიმოხილვით დავიწყებთ.

უთამაშებლობის არაფერი ეტყობოდა როჯერ ფედერერს. შვეიცარიელის გულშემატკივრები ღელავდნენ, ტურნირისთვის მომზადება ვერ მოასწროო — ალპელმა ხომ ბოლოს დეკემბრის დასაწყისში ითამაშა. „მხიარული როჯერი" ვერც „კუიონგის" კორტებზე გავიდა, რადგანაც რაღაცით მოიწამლა და მისი სათამაშო ფორმა ბევრ კითხვას ბადებდა. თუმც გუშინ გამოჩნდა, რომ ფედერერს არც დიდი ხნით უქმობა აფრთხობს და დიეგო ჰარტფილდის დონის მეჩოგნესთან სულ ცალი ფეხით რომ ითამაშოს, თავისას მაინც გაიტანს.

თავად ფედერერი ნამატჩევს ამბობდა, შედეგზე ნაკლებად ვღელავდი, რადგანაც ტურნირს ნორმალურ ფორმაში შევხვდიო:

„ვარჯიშებზე თავს მშვენივრად ვგრძნობდი — კორტზეც ადვილად ვმოძრაობდი და კარგადაც ვაწოდებდი, რის გამოც საკუთარ ძალებში დარწმუნებული ვიყავი".

ისე, შვეიცარიელს გუშინ კიდევ ერთი ვარჯიში ჰქონდა — აბა, სხვა რა შეიძლება დაერქვას ჰარტფილდთან მის შეხვედრას. ალპელმა თავიდანვე მაჟორულ ტონზე დაიწყო და სანამ საცოდავი არგენტინელი აზრზე მოსვლას მოასწრებდა, ზედიზედ 9 გეიმი აიღო. თავისი პირველი ქულის მოგება არგენტინელმა ისე ზარ-ზეიმით აღნიშნა, თითქოს ჩემპიონი გამხდარიყოს.

ფედერერმა 75 წუთში მოუთავა საქმე ჰარტფილდს და მეორე წრესაც უწია, სადაც ვეტერან ფაბრის სანტორო ელოდება და, ასაკის მიუხედავად, დარწმუნებით შეიძლება ითვას, რომ არგენტინელზე გაცილებით თავმოყვარედ იჩოგავებს.

ადვილად გაიარეს პირველი წრე სხვა ბობოლებმაც — ნოვაკ ჯოკოვიჩს, ლეიტონ ჰიუიტსა და მარატს საფინს ოფლის ხეირიანად მოდენაც კი არ დასჭირდათ პირველი ავსტრალიური ბარიერის დასაძლევად. დამაჯერებლად იმარჯვა შარშანდელმა ფინალისტმა ფერნანდო გონსალესმაც, მაგრამ ჩილელისა და კონსტანტინოს ეკონომიდისის შეხვედრა სკანდალით გამოირჩა. საქმე იმაშია, რომ მატჩის მიმდინარეობისას პოლიციელებმა ტრიბუნები იძულებით დაატოვებინეს 5 ბერძენ გულშემატკივარს, რომლებიც, რეფერის არაერთი გაფრთხილების მიუხედავად, ხმაურობდნენ და გონსალესს შეურაცხყოფას აყენებდნენ.

გადაჭარბებული აღმოჩნდა დავიდ ნალბანდიანის ტრავმაზე გავრცელებული ინფორმაციაც. ფედერერისა არ იყოს, "კუიონგის" საჩვენებელი ტურნირი ამ არგენტინელმაც გამოტოვა, ოღონდ თითქოს დავიდს უფრო სერიოზული ტრავმა ჰქონდა. თუმც გუშინ პატაგონიელმა დიდებულად იჩოგნავა და მასპინძელი რობერტ სმიტსი პირწმინდად დაჩაგრა.

ნალბანდიანზე ასე იმიტომ ვამახვილებთ ყურადღებას, რომ გასული სეზონის მიწურულს ის უბრალოდ ფანტასტიკურ ფორმაში იყო და მადრიდისა და პარიზის მასტერსებზე ზედიზედ მიჩოგნა ფედერერი და რაფაელ ნადალი. ამიტომაც ბევრი პატაგონიელს შვეიცარიელის უმთავრეს მეტოქეთა შორის მოიხსენიებს.

მოულოდნელი კი ივან ლიუბიჩიჩისა და ნიკოლას ალმაგროს მარცხი გახლდათ. ესპანელი ახალგაზრდა ხორვატმა მარინ ჩილიჩმა დაჯაბნა. სამაგიეროდ, გამოცდილმა ბალკანელმა გაუცრუა თავისიანებს იმედები და უფერულ რობინ ჰააზესთან უშანსოდ დამარცხდა. ეტყობა, ელიტაში ორწლიანი ყოფნის შემდეგ ლიუბიჩიჩის კარიერა დაღმა დაეშვა.

რაც შეეხება ქალებს, აქ ორიოდ მინი-სენსაცია ვიხილეთ — წააგეს მარიონ ბარტოლიმ და დინარა საფინამ. ეს უკანასკნელი სრულიად უცნობმა გერმანელმა საბინე ლისიცკიმ სამ სეტში დაჯაბნა.

ბარტოლის შარშანდელი უიმბლდონური წარმატება მაინც ერთჯერადი მოვლენა აღმოჩნდა. იმის შემდეგ ფრანგს ღირებული მართლაც არაფერი გაუკეთებია, აგერ ახლა კი ერთი წრის გავლაც ვერ შეძლო. სოფია არვიდსონთან შეხვედრაში გალმა მხოლოდ ის "მოახერხა", რომ პირველ სეტში რის ვაი-ვაიგლახით იმარჯვა, მაგრამ მომდევნო ორ პარტიაში შვედის უპირატესობა თვალში საცემი იყო და ბარტოლისაც ნაადრევად მოუწევს ჩემოდნების ჩალაგება.

მოულოდნელი იყო გასული წლის მიწურულს აკიაფებული ახალგაზრდა ვარსკვლავ აგნეს სჟავაის უკბილო თამაშიც. უნგრელმა თინეიჯერმა ეკატერინა მაკაროვას სეტი კი მოუგო, მაგრამ მერე ნამეტანი მოეშვა და ხელიდან გაშვებული უპირატესობა ველარ დაიბრუნა.

სამაგიეროდ, იხეირეს სხვა განთესილებმა — ზოგმა ნერვების ზედმეტი დაძაბვის გარეშე, ზოგსაც გვარიანი წვალება დასჭირდა.

მაგალითად, ვინუს უილიამსმა პრობლემები თავად შეიქმნა. ძი იანთან შეხვედრაში უფროს შავდას სეტი ჰქონდა მოგებული და მეორეში 5:2-ს იგებდა, მაგრამ როგორღაც "შეძლო" ზედიზედ სამი გეიმის წაგება. თუმც ვინუსი ტაიბრეიკზე თამაშს მაინც გადაურჩა, ნამატჩევს კი თავი ასე ლაკონიურად იმართლა:

„ეს ჩოგბურთია — შეცდომები ყოველთვის ხდება და მათ ყველა უშვებს".

მძიმედ დაიწყო ანა ივანოვიჩმაც. სერბ ლამაზმანს ნახევარი საათი დასჭირდა საჭირო რიტმის საპოვნელად, მაგრამ ორ სეტში მაინც ჩაეტია.

გაცილებით ადრე იპოვა თავისი თამაში სვეტლანა კუზნეცოვამ, რომელსაც ნატალი დეშიმ ხეირიანი ვერაფერი დაუპირისპირა. აი, ანა ჩაკვეტაძეს კი მხოლოდ კორტზე გასვლა მოუწია. რუსმა ის-ის იყო ტრიბუნებს შეავლო თვალი და გასახურებლად გაემზადა, რომ ანდრეა პეტკოვიჩი მასთან მივიდა და გამარჯვება მიულოცა — თავს შეუძლოდ ვგრძნობ და მეორე წრეში თამაში შენზე ალალი იყოსო.

**კახა ლომაშვილი**



რობინ ჰააზე

### კაცები
### პირველი წრე

**როჯერ ფედერერი** (1, შვეიცარია) — დიეგო ჰარტფილდი (არგენტინა) 6:0 6:3 6:0; **ფაბრის სანტორო** (საფრანგეთი) — ჯონ აისნერი (აშშ) 6:2 6:2 6:4; **იანკო ტიპსარევიჩი** (სერბეთი) — ჯოსეფ სირიანი (ავსტრალია) 7:5 6:2 6:7 0:6 6:0; **ფერნანდო ვერდასკო** (25, ესპანეთი) — ტიერი ასიონე (საფრანგეთი) 6:4 6:0 6:3; **ხუან მონაკო** (21, არგენტინა) — კარლოს ბერლოკი (არგენტინა) 7:6 7:5 6:1; **ამირ დელიჩი** (აშშ) — რობერტ კენდრიკი (აშშ) 6:4 7:5 6:2; **ოსკარ ერნანდესი** (ესპანეთი) — ივო მინარი (ჩეხეთი) 1:6 7:6 6:2 6:1; **ტომაშ ბერდიხი** (13, ჩეხეთი) — ვერნერ ეშპაუერი (ავსტრია) 6:4 6:4 6:4; **ჯეიმს ბლეიკი** (12, აშშ) — ნიკოლას მასუ (ჩილე) 6:3 6:2 6:2; **მაიკლ რასელი** (აშშ) — ფაბიო ფონინი (იტალია) 6:1 4:6 6:2 3:6 6:3; **სებასტიან გროჟანი** (საფრანგეთი) — ფილიპო ვოლანდრი (იტალია) 7:6 6:3 7:6; **რობინ ჰააზე** (ჰოლანდია) — ივან ლიუბიჩიჩი (17, ხორვატია) 6:7 6:3 6:0 7:6; **მარინ ჩილიჩი** (ხორვატია) — ნიკოლას ალმაგრო (27, ესპანეთი) 7:6 7:5 6:2; **იურგენ მელცერი** (ავსტრია) — ირჟი ვანეკი (ჩეხეთი) 6:3 6:4 6:4; **ჰიუნგ-ტაიკ ლი** (სამხ. კორეა) — კრის გუჩიონე (ავსტრალია) 7:6 6:3 6:4; **ფერნანდო გონსალესი** (7, ჩილე) — კონსტანტინოს ეკომანიდისი (საბერძნეთი) 6:4 7:6 6:1; **ნოვაკ ჯოკოვიჩი** (3, სერბეთი) — ბენჯამინ ბეკერი (გერმანია) 6:0 6:2 7:6; **სიმონე ბოლელი** (იტალია) — რაჟივ რავი (აშშ) 7:6 3:6 6:4 2:6 6:3; **სემ ქუერეი** (აშშ) — ოლივიე როხუსი (ბელგია) 6:3 6:2 7:5; **დმიტრი ტურსუნოვი** (32, რუსეთი) — ქსავიე მალისი (ბელგია) 6:7 5:7 6:2 6:1 6:3; **ლეიტონ ჰიუიტი** (19, ავსტრალია) — **სტივ დარსისი** (ბელგია) 6:0 6:3 6:0; **დენის ისტომინი** (უზბეკეთი) — ლუკაშ ლაშკო (სლოვაკეთი) 6:3 6:7 7:6 6:1; **მარატ საფინი** (რუსეთი) — ერნესტ გულბისი (ლატვია) 6:0 6:4 7:6; **მარკოს ბაღდატისი** (15, კვიპროსი) — ტომას იოჰანსონი (შვედეთი) 7:6 6:2 3:6 6:3; **დავიდ ნალბანდიანი** (10, არგენტინა) — რობერტ სმიტსი (ავსტრალია) 6:1 6:1 7:6; **პეტერ ლუჩაკი** (ავსტრალია) — მარიანო ზაბალეტა (არგენტინა) 6:1 6:7 6:3 6:4; **ალუნ ჯონსი** (ავსტრალია) — ალბერტ მონტანესი (ესპანეთი) 6:4 6:3 3:6 6:2; **ხუან-კარლოს ფერერო** (22, გერმანია) — ნიკლას კიფერი (გერმანია) 6:4 6:3 6:1; **ვინსენტ სპადეა** (აშშ) — რადეკ შტეპანეკი (30, ჩეხეთი) 2:6 2:6 7:5 6:2 6:3; **დენის გრემელმაიერი** (გერმანია) — სერხიო როიტმანი (არგენტინა) 6:1 0:6 6:4 7:5; **ხუან მარტინ დელ პოტრო** (არგენტინა) — სანტიაგო ვენტურა (ესპანეთი) 6:3 6:1 6:3; **დავიდ ფერერი** (5, ესპანეთი) — ედუარდ როჟე-ვასელინი (საფრანგეთი) 6:2 6:2 6:1;

### ქალები
### პირველი წრე

**ვინუს უილიამსი** (8, აშშ) — ძი იანი (ჩინეთი) 6:2 7:5; **კამილ პინი** (საფრანგეთი) — მონიკა ნიკულესკუ (რუმინეთი) 5:7 6:1 6:1; **ტიმეა ბაშინსკი** (შვეიცარია) — სოფი ფერგიუსონი (ავსტრალია) 6:4 6:3; **სანია მირზა** (31, ინდოეთი) — იროდა ტულიაგანოვა (უზბეკეთი) 6:4 6:2; **ნა ლი** (24, ჩინეთი) — სევერინ ბრემონი (საფრანგეთი) 6:2 4:6 6:4; **მარია ელენა კამერინი** (იტალია) — კრისტინა ვილერი (ავსტრალია) 6:1 6:2; **მარტა დომაჩოვსკა** (პოლონეთი) — მატილდა იოჰანსონი (საფრანგეთი) 6:1 6:1; **სოფია არვიდსონი** (შვედეთი) — მარიონ ბარტოლი (10, საფრანგეთი) 6:7 6:4 6:3; **საბინე ლისიცკი** (გერმანია) — დინარა საფინა (16, რუსეთი) 7:6 4:6 6:2; **მარია კორიცევა** (უკრაინა) — მარია ელენა სალერნი (არგენტინა) 6:2 6:3; **კაროლინ ვოზნიაკი** (დანია) — გიზელა დულკო არგენტინა) 6:1 6:1; **ალონა ბონდარენკო** (21, უკრაინა) — ალა კუდრიავცევა (რუსეთი) 6:4 7:6; **კატარინა სრებოტნიკი** (28, სლოვენია) — ლურდეს დომინგეს ლინო (ესპანეთი) 4:6 6:0 9:7; **ანასტასია როდიონოვა** (რუსეთი) — ანგელიკა ბახმანი (გერმანია) 7:6 6:4; **ტატიანა გარბინი** (იტალია) — ელენი დანილიდუ (საბერძნეთი) 6:2 6:2; **ანა ივანოვიჩი** (4, სერბეთი) — სორანა კირსტეა (რუმინეთი) 7:5 6:3; **ანა ჩაკვეტაძე** (6, რუსეთი) — ანდრეა პეტკოვიჩი (გერმანია) უარი; **ალისა კლეიბანოვა** (რუსეთი) — შუაი პენგი (ჩინეთი) 7:5 4:6 9:7; **აკიკო მორიგამი** (იაპონია) — მიქაელა კრაიჩეკი (ჰოლანდია) 6:2 6:2; **მარია კირილენკო** (27, რუსეთი) — მეილენ ტუ (აშშ) 6:4 4:6 6:3; **კატალინა კასტანო** (კოლუმბია) — ლუსი შაფაროვა (22, ჩეხეთი) 6:1 6:4; **ვირხინია რუანო პასკუალი** (ესპანეთი) — რობერტა ვინჩი (იტალია) 6:4 6:4; **ალიზე კორნე** (საფრანგეთი) — კლარისა ფერნანდესი (არგენტინა) 6:3 6:3; **დანიელა ჰანტუხოვა** (9, სლოვაკეთი) — ვანია კინგი (აშშ) 6:3 7:5; **ნადია პეტროვა** (14, რუსეთი) — ნიკოლ პრატი (ავსტრალია) 6:1 6:3; **ენ კრემერი** (ლუქსემბურგი) — ევგენია ლინეცკაია (ისრაელი) 7:6 6:0; **ივონ მოისბურგერი** (ავსტრია) — ლაურა გრენვილი (აშშ) 6:1 6:4; **ეკატერინა მაკაროვა** (რუსეთი) — აგნეს სჟავაი (20, უნგრეთი) 3:6 6:4 7:5; **აგნეშკა რადვანსკა** (29, პოლონეთი) — ოლგა სავჩუკი (უკრაინა) 6:0 6:1; **პაულინ პარმენტიე** (საფრანგეთი) — მარტინა მიულერი (გერმანია) 7:5 6:3; **ცვეტანა პირონკოვა** (ბულგარეთი) — ოლგა გოვორცოვა (ბელარუსი) 6:1 6:1; **სვეტლანა კუზნეცოვა** (2, რუსეთი) — ნატალი დეში (საფრანგეთი) 6:3 6:1


# სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ქორჭილავა
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge